ეროვნული ბიბლიოთეკა
645
1972



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1972 წ.



თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის პიონერები ცოცხალი ყვავილებით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს თბილისში.

ფოტო ვ. გენგიურისა

ჟურნალი
ეძღვნება
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკების
კავშირის
შექმნის
50
წლისთავს


„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალიო მირცხულავა

# ძმად შეფიცულო ერებო!

დიად საბჭოთა კავშირის
ძმადშეფიცულო ერებო,
სამშობლოს სახელ-დიდებით
იხარეთ, — ბედნიერებო!

თქვენზე ოცნებით მიყვავის
გულ-მკერდი დაუშრობელი,
პატარა საქართველო ვარ,
გმირთაგმირების მშობელი.

მზემ სიხარული მომფინა,
კვლავ გაზაფხულის დარი ვარ,
ვლალადებ მაღალ მთებიდან,
კვარცხლბეკზე გადმომდგარი ვარ.

მესმის ქარხნებში თქვენი ხმა,
ყანებში — მწყობრი ნადური,
მას ვერ ჩააქრობს მუქარა,
ვერც მტრობა მუხანათური.

თხუთმეტი ძმა ვართ ნაფიცნი,
გვწამს მეგობრობა ნამდვილი,
ჩვენ ერთი დროშა გვაერთებს, —
სამშობლოს წმინდა მანდილი.

როდესაც ურდო ურჯულო
შემოგვესია თარეშით,
ერთად, ბრძოლებში გასულნი,
დავქროდით სიავდარეში.

გავწმინდეთ ჩვენი საზღვარი
მტრის გესლით გადაშხამული,
კვლავ გავახარეთ სამშობლო,
კვლავ ვასახელეთ მამული.

ერთობა დიდი ძალაა,
მის წინ მარცხდება ყოველი,
ეს ძალა ხალხის გულშია,
მარადის განუყოფელი.

სამშობლო იყოს უკვდავი,
ტკბილია დედის ალერსი,
სამშობლო, ჩვენი აკვანი,
ყველაზე უსაყვარლესი —

ჰყვაოდეს ჩვენდა ნუგეშად,
მზედ და იმედად ხვალისა,
ჰყვაოდეს პირზე ღიმილით
ბრწყინვალე მომავალისა!

1949 წ.





# თბილისი -

ვერვინ მოუძებნოს უფრო შესაფერისი სახელი საქართველოს ქალაქთუფროსს. აქ დის ცხელი, გოგირდოვანი წყაროები, აქ იცის გამორჩევით მხურვალე ზაფხული, ხოლო ზამთრის ქარ-ყინვები სუსტად და შეგვიანებით გადმოაღწევს ხოლმე თბილისის მთებს. თვით ლეგენდა ქალაქის დაარსებისა შემკობილია საოცრად ლამაზი და თბილი სახეებით.

და მაინც, ყველაზე მთავარი აქ გახლავთ თვითონ თბილისელი, განთქმული თავისი გულის სინათლით.

— გავიხსენოთ აბოს გაქრისტიანება, როგორი მწუხარებით იგლოვეს არაბი მოწამე თბილისელებმა, შემდეგ კი წმინდანადაც შერაცხეს, ხსოვნის დღეც დაუწესეს და ღვაწლიც აღუწერეს.

იმთავითვე ყველა ერისა და რელიგიის შემწყნარებლები ვყოფილვართ: დავით აღმაშენებელს, როდესაც 1122 წელს თბილისი აუღია, მუსულმანი მოსახლეობისათვის განსაკუთრებული ნივთიერი შეღავათები მიუნიჭებია და სახლიც აუგია პოეტებისათვის, თუმცა წინ ედო სამსაუკუნოვანი რბევა, ძარცვა და აოხრება მუსულმანთაგან, განსაკუთრებით ბუღა თურქის შემოსევა, როდესაც 50.000 კაცი გაწყდა თბილისს. ამ და სხვა გულმოწყალებისათვის მეფეს დიდი ნდობა მოუპოვებია მეზობლებში, ასე რომ, თუ დავითმა ანისიდან მაჰმადიანები გარეკა, იქაური სომეხი თავკაცების თხოვნით და ხელშეწყობით.

შემდეგ, ვინმე რუსი ეგნატაანთაგანი, თან ხლებია ბაგრატ მეფეს თემურლენგთან, ხოლო საქართველოსაკენ მომავალს, 12 ათასიან მონღოლთა ლაშქარში მყოფს, მაინც მოუხერხებია ბაგრატისეული საიდუმლო ბარათის მიტანა მისი შვილისათვის, რის შედეგადაც მტრის ჯარი ერთიანად გაწყვიტეს ქართველებმა.

თბილისში არის ერთი სახლი, სადაც მრავალ განძს შორის შეიძლება მოიძიოთ მასალები საქართველოს ძველ მეგობრებზე. ხელნაწერთა ინსტიტუტი აკადემიისა ინახავს ალიშერ ნავოის 20-მდე ხელნაწერ წიგნს და ჩაღათურ-სპარსული ლექსიკონის ორ ნუსხას ნავოის ნაწერების განსამარტავად. აქაურ დავთრებში ჩაწერილია ვაგიფის მრავალი ლექსი, ოღონდ ქართული ტრანსკრიპციით. ვაგიფი კი საიათნოვას უმცროსი თანამედროვეა, დიპლომატიური მისიით ერეკლეს კარზე ჩამოსული, რომლის ლექსები თბილისსა და საქართველოზე ესოდენ თბილი და ნათელია.

თავად საიათნოვა ალეპოდან ჩამოსული სომხის შვილი იყო. აშუღს საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნდა, საქართველოს მეფე — თავის მეფედ, მშობლიურ ენად კი — ქართული. სომხურ ლექსებსაც ქართული ანბანით წერდა. „საქართველოს მეფის საზანდარი" ერთ ლექსში ასე მიმართავს ერეკლეს: „ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო". საიათნოვა გამონაკლისი არ ყოფილა საერთოდ, აშუღები ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მომღერლები იყვნენ. იმის გამო, რომ სამივე ერი არაბობის, თურქობის, მონღოლობის, ყიზილბაშობის უღელს ერთდროულად განიცდიდა, ერთადაც იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ, ხოლო თბილისი ყოველთვის მთავარ შურისმგებლად გამოდიოდა, რუსეთთან დამეგობრებაშიც ქართლ-კახეთის სამეფო თავისი დედაქალაქით პირველი იყო.

რუსეთთან შეერთების დღიდან სწრაფად უმრავლდება თბილისს მეგობრები: პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, გადმოსახლებული რუსი დეკაბრისტები: ოდოევსკი, რაევსკი, ბესტუჟევ-მარლინსკი. მანანა ორბელიანთან ხომ თავს იყრიდნენ თბილისის ყველაზე საპატიო სტუმრები. „თქვენი განბრწყინებული სალონი სავსეა ინგლისელებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით, ჭეშმარიტად მშურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობის ქალაქი

მათი ბედნიერება“, — სწერდა დიასახლისს გრიგოლ ორბელიანი.

თბილისელთა სტუმარია ლევ ტოლსტოიც. „უმშვენიერესი ხალხია ეს ქართველები“... „ვგონებ აზრი კავკასიაში გამომგზავრებისა ზენამ შთამაგონა“... გულს უხსნის იგი თავის ნათესავს და არწმუნებს, რომ სურს სამოქალაქო სამსახურში შევიდეს, „ოღონდ აქ და არა რუსეთში“. ხოლო უკანასკნელი სურვილი, რომელიც აწუხებდა ლევ ნიკოლოზის ძეს იმ საბედისწერო ღამეს, როდესაც მან სიკვდილის წინ დასტოვა იასნაია პოლიანა, ეს იყო, როგორმე კავკასიამდე მოეღწია.

თბილისს ვერც ალექსი მაქსიმეს ძე გორკი ასცდა. იგი ათიოდე თვეს დარჩა აქ, მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში, მონაწილეობდა ეგრეთწოდებულ კრასნოგორსკის კომუნის დაარსებაში. აქვე გაიცნო ეგნატე ნინოშვილი, რომელმაც ურჩია: დაწერეო ის, რასაც აგრე კარგად ჰყვებიო. მართლაც, თბილისის პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი ლიტერატურული ცდები და „მაკარ ჩუდრას“ გამოქვეყნება. „არასოდეს დამავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი გაუბედავი ნაბიჯები იმ გზაზე. აი, უკვე ოთხი ათეული წელია, რომ კადგივარ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიულმა სინაზემ, — სწორედ ამ ორმა ძალამ შემაგულიანა და მომცა ბიძგი, რომელმაც ყოფილი მაწანწალა ლიტერატორად მაქცია“. თბილისელთა გულითადობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1903 წელს გორკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით რუსულმა დასმა წარმოადგინა „ფსკერზე“. ხოლო მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის წინ, გორკიმ ერთგვარად ვალი მოიხადა თბილისელებთან, როდესაც ქართული მწერლობის გასაცნობად საქართველოს აწვია რუსი მწერლების ჯგუფი: ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი...

არ უნდა დავივიწყოთ თეოდორ შალიაპინიც. თბილისით ესოდენ დავალებული და ამ ქალაქის მოყვარული სიკვდილის დღემდე.

არც შირვანზადე, რომელიც თბილისში არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას არ გამოჰკლებია.

არც მირზა ფატალი ახუნდოვი, რომელიც თბილისის მიწაში განისვენებს.

არც თბილისელი ნიკო ხუდადოვი, შთამომავლობით სომეხი, ყოფილი ხალხოსანი და ქართული კულტურის მოამაგე, რომელიც ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

არც ლესია უკრაინკა, რომელიც თბილისში თუმცა დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ საქართველოში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

არც ჰოვანეს თუმანიანი — „ჩვენი ჰოვანესი“. მისი სახლი თბილისში მეგობრობის სახლი იყო. ქართველი, სომეხი და მუსულმანი პოეტების თავშესაყარი.

მით უფრო უნდა გვახსოვდეს იეთიმი თბილისის დამამშვენებელი, ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის მომღერალი, „ერთა შუამავალი“. ეს ხომ უკანასკნელი აშუღია ჩვენი ქალაქისა, მისი საუცხოო მეხოტბე, ავტორი საყოველთაოდ აღიარებული ლექსის „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო!“

ანა ანტონოვსკაია — „დიდი მოურავის“ ავტორი, ახლობელი ქართველი ხალხისა, გარდამეტ მოყვარული საქართველოსი. ამჟამად მისი ვაჟი ბორის ჩორნი აგრძელებს ამ მეგობრობის გზას.

მაიაკოვსკების ოჯახიდან — ვლადიმერი — (თბილისის მზის მოტრფიალე, იმერულ კილოზე მოლაპარაკე), რუსი, რომელიც აცხადებდა: ქართველი ვარო! ლიუდმილა სიკვდილამდე საქართველოსკენ გადმომხედველი, მუდამ ტკბილად მომგონებელი აქაურობისა, მომხმარე და მზრუნველი, გულითადი.

განა საგულისხმო არ არის, რომ ბორის პასტერნაკის მიმოწერა ქართველ მეგობრებთან 40-მდე წელიწადს მოიცავს. „ეგ ქალაქი (ტფილისი), — წერს იგი პაოლოს, — იმათთან ერთად ვინც მანდ ვნახე, იმასთან ერთად, რისთვისაც მანდედან ვბრუნდებოდი და რაც მანდ მომქონდა, ჩემთვის იგივე იქნება, რაც იყო შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე“. „ეგ არ არის მარტო სამხრეთი და კავკასია, ანუ მარად უსასრულო და ამაფორიაქებელი სილამაზე, ეგ უფრო დიდი რამეა, თანაც ისეთი რამ, რაც ახლა იშვიათობად არის ქცეული მთელ ქვეყანაზე“.

რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ტიხონოვი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ძველი მეგობარია ქართველი მწერლებისა. მხოლოდ სანდრო შანშიაშვილთან ინახება 60-მდე მისი წერილი. ერთ-ერთში, რომელიც გამოგზავნილია 1942 წელს, ვკითხულობთ: „ლენინგრადის თოვლში ხშირად გიგონებდით. სულითა და გულით ვხარობდით, რომ ომის საშინელებანი თქვენგან შორს არის. ზოგჯერ მძაფრი სურვილი შეგვიპყრობდა, გადმოვფრენილიყავით თბილისში“...

როდესაც ლუნაჩარსკი ერთს პაპანაქება ზაფხულში თბილისს ეწვია, ქართველმა საზოგადოებამ მას უჩვენა, რაოდენ პატივისცემა იცის სტუმრისა. სასწრაფოდ გამოიკრიფა აგარაკებიდან მისი უმრავლესობა და, სალამოზე გამოცხადდნენ: ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი...

სერგეი ესენინზეც შემორჩენია რამდენიმე მოგონება თბილისს.

ამჟამად ჩვენი დედაქალაქი ერთა მეგობრობის ცოცხალი ხატია. აქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, ასირიელები, ქურთები...

ქართველები ოდითგანვე პატივს სცემდნენ მათს მრწამსსა და ენას. ამიტომაა, რომ თბილისში, საერთოდ, საქართველოში, არის რუსული სომხური და აზერბაიჯანული სკოლები; სომხური და აზერბაიჯანული განყოფილებები პუშკინის ინსტიტუტში, რუსული და სომხური თეატრები, გამოდის რუსული, სომხური და აზერბაიჯანული გაზეთები, ამ რამდენიმე წლის წინ კი დაისტამბა ქურთი მწერლების ნაწარმოებთა კრებული.

თბილისში ცხოვრობენ: სიმა ჯაფარლი, სევილ ალიევა, — მასწავლებლები, მინაია ზეინალოვა — ლინოტიპისტი, თამილა ისმაილოვა — ფაბრიკის მკერავი, ექიმები: ზარიფა ფარაჯოვა, გულნარა რუსტამოვა, სამაია ველიევა...

თბილისში ცხოვრობენ: ლიტველი იუსტას პეტრაიტისი — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, ყირგიზი ბეშენბაევი — თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი, ლატვიელი ქალი აუსტრა ტაურინში, თბილისის უნივერმაღის საწარმოო კომბინატის მკერავი.

თბილისში ცხოვრობენ ზარუჰი დალაქიანი, 104-ე სკოლის დირექტორი, ემა სტეფანიანი — საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დამსახურებული არტისტი, ლილი ლაზარიანი და ელზა მარტიროსიანი, მუშები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

* * *

მაგრამ ქალაქში მრავლად შეხვდებით მათაც, ვინც მამებით და პაპებით თბილისელები არიან. მათს მოგონებებს ცხოვლად შემორჩენიათ ძველი ქალაქის სახე და ხასიათი.

**ეთერ სახვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაისინ ყულიევი
ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო პოეტი

# ქართველ ქალებს

მხარე რაც უფრო წარმტაცი და მშვენიერია,
მით უფრო ზეცა თავს დაჰნათის მას ბრწყინვალებით,
მით უფრო მძლავრად დაჰგუზგუზებს ცეცხლი კერიას,
მით უფრო ბრწყინავს სილამაზე მისი ქალების.

მხარე რაც უფრო წარმტაცია ამ ქვეყანაზე
მით უფრო გვათრობს მისი პურის მძაფრი სურნელი,
მით უფრო მისი ყვავილები არის ლამაზი
და უფრო მიტომ ისწრაფვიან მისკენ სტუმრები.

მხარე რაც უფრო წარმტაცია — უფრო უხვია,
წმინდაა უფრო მისი წყალი, ღვინო — ტკბილია,
თავისუფლებას სადაც უფრო მძლავრი შუქი აქვს,
მით უფრო მისი ქალიშვილი ფრთაგაშლილია.

თქვენ, საქართველოს ყვავილებო და ვარსკვლავებო,
თქვენი მამული შეიყვარეს ჩვენმა მგოსნებმა,
ამქვეყნიური სილამაზის ლურჯო სამეფოვ,
შეუბღალავო და უმანკო პატიოსნებავ!

თქვენ ერის ზეიმს მსახურობდით წელგამართული,
სული ჩაუდგით მგოსნის სიტყვას, გზა მიასწავლეთ.
გატოლებოდა პურის ძალას ლექსი ქართული,
ქართული სიტყვა მისწვდომოდა ცაში ვარსკვლავებს.

რაც სინათლეა ქართულ ლექსში, რაც სილამაზე,
დედის რძის მადლით, თქვენთა თვალთა შუქით ბრწყინდება.
მგოსნის საწყაო უკვდავების ფიქრით აავსეთ,
მგოსნებს საქვეყნოდ დაუმკვიდრეთ ერში დიდება.

მაშინაც, როცა მტერი სახლ-კარს დაანაცრებდა,
ძაძით მოსილნი გაჰკიოდით ჭირთა მოთმენას.
მალული ცრემლით, თვალებდათხრილ წმინდა ტაძრებთან
გზას არ აძლევდით მწარე სევდას და შეშფოთებას.

დაიტირებდით და ისევ ცეცხლს აგიზგიზებდით,
ცხვებოდა პური, ობლის კვერი, ობლის იმედი.
შვილებს ჰკვებავდით, რომ ჰქონოდათ თვალი ფხიზელი
და არა შიში სისხლნარევი, მწარე წვიმების.

თავისუფლებას ვერსად ჰპოვებ ბრძოლის გარეშე,
რა ვუყოთ, მერე, მწარე იყო თქვენი ქორწილი
და კვლავ ჩნდებოდა ვაჟკაცები მშობელ მხარეში
თქვენი ალალი, უწმინდესი რძით გამოზრდილი.

ვითარცა პური არსობისა, იყო ძლიერი
თქვენი რძე თბილი, ძუძუს მადლი, სითბო დედური...
თქვენი მთებივით მაღლები ხართ და მშვენიერი,
სულით მაღალნი, სიწმინდისთვის დაბადებულნი.

თქვენ, თქვენ მოგმართავთ მეგობრულად და მოკრძალებით
დანნო: ლამარა, ნინო, ტანიტ, ეთერ, გულიკო.
მარად იყავით მოძმისათვის გულმხურვალენი,
რომ თქვენს მიწაზე ია-ვარდი ამოსულიყო.



ჰრანუშ მირზოიანი

# მშობლიურ საქართველოს

მთებო, მთებო, დიდო მთებო,
მთებო — ცათამბჯენებო —
ლაჟვარდებში მოცურავე
სამშვიდობო გემებო.

ხალხმრავალო ჭალაკებო,
სოფლებო და ქალაქებო,
სიხარულის ბურჯებო,
საოცნებო გაზაფხულო,
სიყვარულო უჩვევო.

უკვდავების წყაროებო,
აქოჩრილო ტყეებო,
საოცნებო ზღვის პირებო,
ხალხთა სასახლეებო.

საყვარელო საქართველოვ,
მხარევ ტურფავ, მზის გულო,
მოწმევ დიდი ბრძოლებისა
ციხევ, ცადაზიდულო;

დანგრეულო გოდოლებო,
დაშამბულო კოშკებო,
ყველა თქვენი სათოფური
თქვენს გმირობას ღაღადებს,
ჰგავხართ ზღაპრად გამოგონილ
გოლიათურ ნახატებს.

ვიცი, ბევრჯერ გამიგია
შენი ქება-დიდება,
იცი მოყვრის გახარება,
მტერთან არ დარიდება.

საქართველოვ, სასომხეთის
ძმავ, — ერთგულო მშვიდობის, —
ისტორიის უღელტეხილს
ერთად გადადიოდით.

სიყვარულის მესვეურებს
მეგობრობა გშვენოდათ,
მტერს ებრძოდით, გული თქვენი
სიყვარულზე მღეროდა.

ცეცხლშიც, როგორც ღვიძლი ძმებ
სულ მხარდამხარ დგებოდით, —
და საერთო საქმეს ასე
ერთად ეწირებოდით.

დღესაც ასე, ერთი რწმენით
ჩვენ ერთმანეთს ვმეგობრობთ,
მიწა ჩვენი — დროშა ჩვენი
ვერვინ დაგვიმეკობროს.

კეთილი ხარ, საქართველოვ,
ხვავიანო, მზიანო!
სულ მსურს ძმობის და მშვიდობის
ნათელ გზებზე იარო!

თარგმნა მორის ფოცხიშვ

სულით მაღალნო, თქვენ მოგმართავთ დანნო ქართველნო,
თქვენ, ვინც მოყვრისთვის ბეწვის ხიდს და უფსკრულს გადივლით,
თქვენ, ვისაც არ გსურთ, რომ მამული სუსხმა დათრთვილოს
და გინდათ მთებზე აღმოცენდეს ბევრი ყვავილი.

მე ვხლეჩდი თქვენს პურს, მოწოდებულს ნაზი ხელებით,
ხელთ მეპყრა ჭიქა, გაორთქლილი ოქროს შხეფებში.
მესმოდა ტკბილი, უნაზესი სიტყვა დედების,
დებთან მეგონა ჩემი თავი, მაღლა, ჩეგემში.

და შეგცქეროდით წყაროსავით წმინდა თვალებში,
მხიბლავდა თქვენი სილამაზე, მზერა ნატიფი
და ციმციმებდნენ საქართველოს ამ სომწვანეში,
თქვენი თვალები — ყვავილები ჭრელი სათიბის.

მისთვის დავწერე ეს სიმღერა, გული დავწურე,
თქვენ შთამაგონეთ მშობლიური ჰანგი წკრიალა,
და მსურდა ქართველ ულამაზეს, ტურფა ასულებს
ჩემს სტრიქონებში მძლავრი ცეცხლი აებრიალათ.

თქვენ, საქართველოს ყვავილებო, ამის დამწერი
თქვენი ძმა არის, სიყვარულმა გაახალისა,
დე, ეს სიმღერაც ჩქრიალებდეს, როგორც ჩანჩქერი,
თქვენთვის, უქრობო ვარსკვლავებო ტურფა მხარისა.

თარგმნა რევაზ მარგიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაზუ ალიევა,
დაღესტნის სახალხო პოეტი

# ლეგენდა ნაბადზე

მოთხრობა

აგვისტოს გვიანი ღამე იდგა. ულრუბლო ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ისე მეგონებოდა, ცოტა მაღლა რომ ავიდე, კლდის შვერილზე დავდგე და ხელი გავიწვდინო, — ვარსკვლავის მცხუნვარება ხელისგულს დამწვავსო.

ჩვენ სულ მაღლა-მაღლა ავდიოდით. აღმართმა, ქვემოდან რომ არც ისე ციცაბო და დიდხანს სავალი ჩანდა, ახლა, შუა გზაში, სუნთქვა გაგვიძნელა. დაღლილობისაგან თვალთ გვიბნელდებოდა. წელში ვწყდებოდით, მუხლები გვეკეცებოდა. გზას კი დასასრული არ უჩანდა. პირიქით, რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო გვშორდებოდა მწვერვალი. უკვე ვნანობდი, ტუკუს რომ ვთხოვე, აულში ფეხით ავიდეთ-მეთქი. ჩვენი თანამგზავრები იქ კარგა ხნის ასული იქნებოდნენ თავიანთი „გაზიკით“ და, ალბათ, თბილ კერიასთან ხინკალსაც შეექცეოდნენ. წამში წარმომიდგა ხინკლებითა და ახალმოხარშული ხორცით სავსე ხონჩა. ნივრის მძაფრმა სუნმა ნესტოებშიც მომილიტინა. ნერწყვი ჩავყლაპე და გავჩერდი.

— ძია ტუკუ, კიდევ შორს არის შავნაბადამდე?

— რაო, ხომ არ დაიღალე? — მომიბრუნდა ტუკუ. იგი იღიმებოდა, მე კი მეგონა, დამცინის-მეთქი.

— არც ისე, — არ გამოვტყდი მე.

მაგრამ ტუკუ ყველაფერს მიხვდა:

— სიამაყე გალაპარაკებს. მთიელი ქალები კი, რომ იცოდე, იოლად ადიან ამ მთაზე, თანაც ზურგზე მძიმე ტვირთი აქვთ აკიდებული.

— მე რა, მთიელი არა ვარ?

— მთიელი კი ხარ, — დინჯად ჩაილაპარაკა ტუკუმ, — მხოლოდ ნამდვილი მთიელი არა, ქალაქმა საკმაოდ გაგანებივრა. უზიხართ იქ ტელეფონებს და რაღაც ქაღალდებს ხელს აწერთ, ამაშიაც ფულს იღებთ. მთაში კი ყველაფერი ოფლით მოიპოვება... აბა, აბა, ნუ ჩამორჩი!

ტუკუმ ნაბიჯს აუჩქარა. ისე მსუბუქად და მკვირცხლად მიდიოდა, ვერ იტყოდით, რომ სამოცს გადაცილებული იყო. ტანდაბალი, მოქნილი. ცნობისმოყვარე... მუდამ მაოცებდა მისი მეხსიერება, მერე რამდენ ხალხურ სიბრძნეს ინახავდა.

შავი ნაბადის ამბავი ადრეც მქონდა გაგონილი; დაღესტანში ვის არ სმენია იგი, მაგრამ წუხელ რომ ჩვენთან ტუკუ ჩამოვიდა და ჩემს მოსკოველ სტუმრებს უამბო იგი ლეგენდა, ყველამ ერთბაშად მოისურვა, ენახათ თეთრ, ყინულიან მთაზე გაშლილი შავი ნაბადი.

აი, რა გვიამბო ტუკუმ:

...გაჭირვებასა და სილატაკეში ცხოვრობდნენ მაშინ მთიელები. აიმისეი მოჯამაგირე პატირის უფროსი ქალიშვილი იყო. პატირი დილიდან საღამომდე მწყემსავდა მდიდარი მეცხვარის — მირზას ფარებს. აიმისეიც დილიდან საღამომდე ეხმარებოდა დედას ოჯახის საქმეში. ამდენი სიღარიბისა და ავადმყოფობისაგან დედა ნაადრევად დაბერდა. აიმისეი კი, როგორც უფროსი შვილი, მეორე დედა გახდა შვიდი და-ძმისა. საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა: „აიმისეი, წყალი მოიტანე“, „აიმისეი, ძროხას აჭამე“ „აიმისეი, პერანგი დამიკერე“, „აიმისეი, მთაში გავარდი, ჩინჩხვარი მოაგროვე“. ჩვეულებრივზე სამჯერ გრძელი დღე უთენდებოდა გოგონას. ღამე კი — სამჯერ მოკლე. მაგრამ სიღარიბისაგან უმოწყალოდ გათელილს, შრომისაგან ქანცგაწყვეტილს, მაინც შერჩენოდა ერთადერთი ტკბილი, სანუკვარი ოცნება: ბალიშზე რომ თავს მიდებდა და მძინარე ბავშვების სუნთქვა, დედის მძიმე ხვნეშა და ძროხის ხმამაღალი ფშვინვა თითქოს შორიდან რომ მოესმოდა, — მაშინ იგი შვებით ფიქრობდა: „ახლა კი გულს ვიჯერებ, ვიძინებ და ვიძინებ, სანამ თავისით არ გამეღვიძება“. მაგრამ, როგორც კი ამას გაიფიქრებდა, მაშინვე ყურში ჩაესმოდა: „აიმისეი, ჩქარა ადექი, ცეცხლი დაანთე, ბავშვებს აჭამე...“

პატირი თითქმის არ დადიოდა შინ. მთელი წელი დაეხეტებოდა მთაში ფარასთან ერთად, ხან გაზაფხულის და ხან ზამთრის საძოვრებზე. შინ იშვიათად თუ შეივლიდა. ისიც, თავისი გროშები რომ მიეტანა ცოლ-შვილისათვის და ბავშვებისათვის თვალი დაეკრა. მთაში გატარებულმა წლებმა ლაპარაკი გადაავიწყეს, შინაც მეტწილად გაჩუმებული იყო. ბრინჯაოსფერი, გამომხმარი სახე ღრმა ნაოჭებით დაჰღაროდა, თითქოს კლდის ნაპრალებიაო. მარადთოვლიანი მთის მწვერვალივით გაჰყინვოდა თვალები. ასეთი ბრუნდებოდა იგი შინ, ასეთივე მიდიოდა შინიდან.

მაგრამ, ერთხელ, სულ სხვანაირი მამა იხილა აიმისეიმ. პატირმა შინ მიირბინა: ჭაბუკივით მკვირცხლი იყო, თვალები უბრწყინავდა. ლურსმნიდან ჩამოხსნა თავისი ერთადერთი განძი — ხმალი, და გარეთ გავარდა.

— დადა, საით? — ჰკითხა აიმისეიმ.

— ომში, შვილო, — მიუგო მან. და ხმაში ისეთი შეუპოვრობა გაისმა, რომ აიმისეის შეაჟრჟოლა.

— აწი ყველაფერი სხვანაირად იქნება, — თქვა პატირმა, — ყველა თავისთვის იმუშავებს და არა ერთი ბატონისათვის.

აიმისეიმ მთლად ვერ გაიგო მამის ნათქვამი, მაგრამ მისი აღტაცება და ხალისი მაინც გადაედო და სიხარული იგრძნო.

— ვინ გითხრა, დადა?

— ვინ მითხრა და... — პატირმა ქალიშვილი გარეთ გაიყვანა, თვალით ანიშნა თეთრ მწვერვალზე, რომელიც აულის წინ აღმართულიყო და ღრუბლებში შეერგო თავი. „— მისმინე, შვილო. ერთხელ, ამ მთის მწვერვალზე ერთმანეთს შეხვდა შვიდი კაცი. შვიდივე მოჯამაგირე, მშიერ-მწყურვალნი, განაწამები... შეხვდნენ ერთმანეთს, „ასალამ ალეიქუმო“ უთხრეს, მეტის თქმა კი აღარ შეეძლოთ, რადგან ყველას თავ-თავისი ენა ჰქონდა. მათ გზაში ქარბუქმა მოუსწრო, თვალისჩინი დაუკარგა, მერე ნამქერი მოაყარა და გზა აუბნია. როცა ძალღონე გამოელიათ და, სიკვდილის პირს მიდგნენ, ერთმა მათგანმა უცებ წამოიყვირა: „შეხედეთ, სინათლე?“ ცხადია, თავის ენაზე დაიყვირა, მაგრამ ექვსივემ მიიხედა მთის გადაღმა მხარეს და უზარმაზარი ჩირაღდანი დაინახეს. სხივთა კონამ გააპო თეთრი მწვერვალი და გააშუქა უკუნი ღამე. ცეცხლოვანმა ნაპერწკლებმა გაალღვეს თოვლის ზვირთები. შუქმა სისხლი გაუთბო შვიდთა, და მათაც გასწიეს სინათლისაკენ. მთიდან მოდიოდა თვალანთებული და კეთილადმომღიმარი კაცი. სწორედ მას მოჰქონდა ეს ჩირაღდანი. როცა ერთმანეთს გაუსწორდნენ, მომხვდურმა თავი მეგობრად გააცნო. მთიელები კი მიჩვეულნი არიან მეგობართან გულის გახსნას. და თითოეულმა გაუშალა გული, თავის ენაზე გაუზიარა პირადი მწუხარება. იმ კაცს ყველა ენა ესმოდა. გაიგო კიდეც, რომ შვიდივე ერთსა და იმავეზე ჩიოდა: პურზე, თავისუფლებაზე... მაშინ, მეგობარმა შვიდივეს გადასცა ჩირაღდანი და აჩვენა, რომელი გზით უნდა წასულიყვნენ. ამ შვიდეულში ერთ-ერთი მამაშენი იყო. ახ-



მხატვარი დ. ხახუტაშვილი

ლა კი აღარ მცალია, ომში მიმეჩქარება“.

აიმისეი სუნთქვაშეკრული უსმენდა მამას. მის გულშიაც შეიჭრა სინათლის შუქი,— თითქოს იმ ჩირაღდნიდან მოაღწიაო. აიმისეის ახლა ახალი ოცნება გაუჩნდა. ყოველ ღამე, როგორც კი ბალიშზე მიდებდა თავს. ბურანში ჩაესმოდა მძინარე ბავშვების სუნთქვა, დედის მძიმე ხვნეშა, ძროხის ხმამაღალი ფშვინვა, იგი ფიქრობდა: „ნეტავ, ერთხელ მაინც მაჩვენა ის ადამიანი და ჩირაღდანიო“. საღამოს, სოფლად ბინდი რომ ჩამოწვებოდა, მოქუფრულ ცაზე აქა-იქ აკიაფდებოდა ვარსკვლავი, აიმისეი ბანზე გადიოდა და მთას გაჰყურებდა: გამოჩნდებოდა თუ არა ჩირაღდნიანი კაცი, მაგრამ არა და არ უმართლებდა. გავიდა წლები. აიმისეის მამა, წითელი პარტიზანი, კარგახანია მთაში დაიღუპა თეთრებთან ბრძოლაში. აიმისეის ძმებიც წამოიზარდნენ, გულადი მოჯირითეები დადგნენ, ხოლო დები — მზეთუნახავები. თვითონ აიმისეი უკვე დიდი და ჭკვიანი გახდა, მაგრამ მამის ნაამბობი არ ავიწყდებოდა, სამუდამოდ ჩარჩა გულში უცნობი მეგობრის სახე. ანთებული ჩირაღდანი. და აი, ერთხელ გაიგო, რომ იმ ჩირაღდანს „ოქტომბრის შუქი“ ჰქვია, იმ კაცს კი, ვისაც ჩირაღდანი ხალხთან მიჰქონდა, — ჰქვია ლენინი.

მალე ამ სახელმა ყაელა აულში დაიქუხა. ძლიერმა ექომ მოჰფინა იგი ყველაზე მიყრუებულ კუთხე-კუნჭულებსაც. ეს სახელი გაისმოდა ქვებისგან დალარულ სულაქის სანაპიროზეც. მისი მოწოდებით აშენდა პირველი სარწყავი არხი დაღესტანში. აიმისეიმ მაშინაც გაიგონა ეს სახელი, როცა ამ კაცმა შორეული მოსკოვიდან მილიონი არშინი ქსოვილი გამოგზავნა, ჩამოფლეთილი დაღესტნელების შესამოსავად. აიმისეიც, ამ ქსოვილის კაბაში გამოწყობილი, სითბოსა და მზრუნველობას გრძნობდა იმ ადამიანისაგან. ახლა, როცა იცოდა ეს სახელი და ყველაფერი, რაც ამ სახელთან იყო დაკავშირებული, მასში ახალი ძალით იფეთქა ნახვის სურვილმა. აიმისეის სჯეროდა, რომ ეს წადილი აუსრულდებოდა, ამ იმედს გულში სათუთად ინახავდა. მაგრამ უცებ...

წყაროდან მომავალმა აიმისეიმ გორაკზე თავკაცები დაინახა. დაღვრემილი ისხდნენ. ჭაღარა თავები ჩაექინდრათ, თითქოს მიწას აყურადებენო. ქალიშვილს მამის მეგობარი — გაზიმუჰამედი შეეგება. აიმისეიმ ჰკითხა: რა მოხდაო?

— ლენინი ავად არის. — მიუგო მან.

— ლენინი?! — წამოიყვირა აიმისეიმ და დოქი ხელიდან გაუვარდა, ნამსხვრევად იქცა, წყაროს ცივი წყალი ფეხებზე გადაესხა, მაგრამ აიმისეის არც ეს შეუმჩნევია. ვიდრე შინ მიაღწევდა. მხოლოდ ეს უტრიალებდა თავში: ლენინი ავად არის. ლენინი ავად არის!..

— აიმისეი, რა მოგივიდა? — ჰკითხა შეშინებულმა დედამ. შვილის შეშფოთებულ სახეს რომ შეხედა.

— ლენინი ავად არის. — ატირდა აიმისეი.

— იგი უნდა მორჩეს. — იქვა დედამ და ჩაფიქრდა.

მძიმე იყო ის ღამე. ჩინჩხვარსაც ძლივს ეკიდებოდა ცეცხლი. ჭუჭრუტანებიდან შეჭრილი სისინა ქარი არხეინად დათარეშობდა ქოხში.

ბოლოს დედამ გასძახა აიმისეის:

— აქ მოდი, შვილო. მე გასწავლი, რა უნდა გააკეთო. მე ვიცი უებარი წამალი. ის უნდა დაამზადოს დილის ცვარივით წმინდა და უმანკო ქალიშვილმა.

— მე უნდა დავამზადო ეს წამალი? — წამოიძახა აიმისეიმ.

— ას თეთრ ცხვარს ასი ბღუჯა მატყლი მოაგლიჯე, — განაგრძო დედამ, — ეს მატყლი ცხრა წყაროს წყალში გარეცხე. მზეზე გააშრე, ასი ყვავილის ჯამში. დაუძახე ას ჯანსაღ ქალიშვილს. გაჩეჩონ ეს მატყლი და როცა მზად იქნება, ადი ყველაზე მაღალ მწვერვალზე და იქ მოთელე მისგან ნაბადი. ლენინს გავუგზავნოთ. როგორც კი ლენინი ჩვენს ნაბადს წამოისხამს, მაშინვე ფეხზე დადგება, გაჯანსაღდება. ნაბადი გამოსწოვს მისგან ყოველგვარ სნებას და მთასავით მაგარსა და მწვერვალივით მიუწვდომელს გახდის. ასი ყვავილის წარმტაცი შუქი ჩაუდგება თვალებში, კაშკაშა მზის მცხუნვარება ალუგზნებს გულს. ათას ტყვიას აისხლეტს. რადგან ცხვრის ნაბადი ისეთი მკვრივია, ტყვია ვერაფერს აკლებს.

მთიდან მზე კიდევ არ ამოწვერილიყო და გრილი მიწა არ გაეთბო, რომ აიმისეი ფეხზე იდგა. ასი ეზო მოირბინა, ას თეთრ ცხვარს ასი ბღუჯა მატყლი ამოგლიჯა, ცხრა წყაროს წყალში გარეცხა. მერე ყინულიანი მთა გადაიარა და იქ, სადაც მთელი წლის მანძილზე მზე ჩახჩახებს და მწვანე ბალახი ბიბინებს, ასი ყვავილის გადაშლილ ჯამში გააშრო მატყლი. დილით ადრე, მზის ამოსვლისთანავე შეკრიბა ასი ქალიშვილი. გოგონები მარდი ხელებით შეუდგნენ მატყლის ჩეჩვას. ჩეჩავდნენ ღერ-ღერა და თან მღეროდნენ:

„შენ მოხველი და გვაქციე ხალხად,
ახლა გამარჯვების იარაღს ვჩარხავთ.
ახლა სიავკაცეს ცრემლები აწვიმს,
ბრძენო და გულადო, გიწოდებთ
არწივ-ს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო დაღესტნელთა პირველი სიმღერა ლენინზე.

ყოველ მთიელ ქალს სჯეროდა, რომ ათასი ვერსის იქით, შორეულ და სუსხიან მოსკოვში, იგი გზავნიდა თავისი ჯანსაღი, გაფურჩქვნილი ახალგაზრდობის მცირეოდენ ნაწილს. მღელვარებისაგან თვალები ენამებოდათ. გულიც გაჩქარებით უცემდათ, თითქოს დროს აჩქარებენო.

თოვდა. იანვრის ღამეშ მხოლოდ აქა-იქ აანთო ციმციმა ვარსკვლავები. აიმისეი ყველაზე მაღალი, მარად თოვლიანი მწვერვალისაკენ მიუყვებოდა. ყინულზე ფეხი უცურდებოდა, სახეში ქარი სცემდა, გათოშილი ცახცახებდა. ამ მოშიშვლებულ სივრცეში ვერსად დაიმალებოდა. მაგრამ ქალიშვილი სიცივეს ვერც გრძნობდა. არც არაფრის ეშინოდა, თუმცა მხოლოდ ვარსკვლავები ჰყავდა მეგზურად.

რაღაც ძალა მართავდა მას, ამხნევებდა და ძალას მატებდა. და აი, უკვე ეჩვენებოდა, თითქოს ყინული შეურბილდა ფეხქვეშ, ქარიც გათბა, ცამ კი მოისროლა თავისი ნისლიანი ქურქი და გადაუშალა მტრედისფერი მკერდი.

აი, მწვერვალიც. აიმისეიმ ფრთხილად შედგა ფეხი საუკუნოვან ყინულზე. მან ქვევით გადაიხედა და სუნთქვა შეეკრა. აღარსად ჩანდა აულები, ამიტომაც სიმაღლე ვერ შეიგრძნო. ქვემოთ კი ქულა ღრუბლები ირეოდნენ, ჯერ ნელ-ნელა გაიშლებოდნენ, მერე ახალ ღრუბლებს უთმობდნენ გზას და ისევ ერთდებოდნენ. აიმისეიმ ამოიღო ქათქათა ზეწარი, რომელიც უბეში გაეთბო, და გაატინა მთის ყინულიან ბოხოხზე. ზედ ფენა-ფენად გაშალა მატყლი და მკლავებდაკაპიწებულმა ჩაიჩოქა. მთელი ღამე თელავდა ნაბადს. მუქი თავსაფრიდან მაღალი შუბლი აშუქებდა, ანთებული თვალები უბრიალებდა. ქულა ღრუბლები ისევ თავზე დაცურავდნენ.

დილით წელში გაიმართა, გამზადებული ნაბადი შეათვალიერა და სიამე მოეფინა. განთიადივით თეთრი იყო ნაბადი. „ლენინი გამოჯანმრთელდება“. — გადაწყვიტა აიმისეიმ და შვება იგრძნო. მაგრამ ფიქრიც არ დასცალდა. უცებ მოვარდნილმა ქარმა ხელიდან გამოსტაცა ნაბადი. ცა მაშინვე მოიქუფრა, მთები ნისლით დაიბურა. ნათება შეწყდა, და კვლავ დაღამდა.

— რა მოხდა? — გაკვირდა აიმისეი და უმწეოდ მიმოიხედა, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ თოვლი, მხოლოდ ქარი, მხოლოდ მოცურავე ღრუბლები ჩამომდგარიყო და ისევ ქარი, რომელმაც გლოვის ზარი მოიტანა.

„აღარ არის ჩვენი მეგობარი, ამაზე დიდი უბედურება არ გვინახავს, — გაისმოდა მთიდან მთაზე... არ გვინახავს...“ იტაცებდა ექო.

აიმისეიმ ისევ ჩაიხუტა თეთრი ნაბადი და მწარედ აქვითინდა. გონს რომ მოვიდა, ნაბადი ხელიდან დავარდნოდა, დაბლა გაშლილიყო. იგი ახლა თეთრი კი არა, — შავი იყო. ხელცარიელი დაბრუნდა აიმისეი შინ. მთელი აული გლოვას მოეცვა. მგლოვიარედ და მკაცრად შეხვდა მას დედა.

— დავაგვიანეთ ნაბადი. — მხოლოდ ესა თქვა ღრმად დარწმუნებულმა, ნაბადი რომ დროზე გაეგზავნათ, ეს უბედურება არ მოხდებოდაო.

აიმისეიმ მაგრად გაიკრა შავი თავსაფარი და წინ დაუდგა მოზარეებს. ხელი ასწია და ყველამ დაინახა, რომ ხელისგულები დაკოჟრებოდა და დაბებრებოდა. იგი ხომ მთელი ღამე ყინულიან მთაზე ნაბადს თელავდა.

— ლენინი არ მომკვდარა! — დაიყვირა მან, — ლენინი მუდამ იცოცხლებს!

და ასმა ჭაბუკმა, ასმა ქალიშვილმა, ყველა დედამ და ყველა მოხუცმა გაიმეორა მისი სიტყვები. იგი გაუყვა აულის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, თან გაჰყვა მთელი ახალგაზრდობა. ყველაზე დიდი ჯაფა დაადგა ერთადერთ მწიგნობარს, გაზიმუჰამედს. იგი წერდა და წერდა მთიელთა თხოვნას, რომელთაც სწყუროდათ შერთვოდნენ ბოლშევიკების ბობოქარ ზღვას.

შავი ნაბადი კი იმგვარ გაქვავდა ყინულიან მთაზე, ვერც თოვლმა, ვერც ყინულმა, წამითაც ვერ დაფარა.

...როცა ჩვენ და ტუკუ ავედით მწვერვალზე, ცაზე სავსე მთვარე დაცურავდა. მთის ყინულიანი ქერქი ოქროსფერ სხივებში სადაფივით ელვარებდა.

— აიმისეი? — ვკითხე მე, — იგი მართლა ცხოვრობდა?

— რატომ ცხოვრობდა? — გაიკვირვა ტუკუმ. — იგი ახლაც ცხოვრობს. სხვათა შორის, სახელგანთქმული მებაღეა. დაღესტანში ლენინის ორდენის პირველი კავალერი, — მის ხმაში სიამაყე იგრძნობოდა, — დღეს შენც შეხვდები მას.

ტუკუ სულ ჩქარობდა და მეც მაჩქარებდა. იგი ამბობდა, რომ შავი ნაბადის დანახვა მხოლოდ ღამით შეიძლებაო.

— აი ისიც! — დავიძახე მე. თეთრ, ქათქათა თოვლზე კოცონივით ბრიალებდა შავი ნაბადი. არ ვიცი, ჩრდილი ეცემოდა კლდიდან, თუ მართლა ასე იყო...

ტუკუ შეჩერდა და ქუდი მოიხადა.

თარგმნა **მილიცა ჯაფარიძემ**

# ორი პრორექტორი

ლიტველმა ირენა ვაიშიტემ და ქართველმა ეთერი გუგუშვილმა მოსკოვში გაიცნეს ერთმანეთი. მაშინ ისინი ლუნაჩარსკის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ.

— კარგი მეგობარი, აქტიური სტუდენტი იყო ეთერი. ყველა კარგი წამოწყების ორგანიზატორი. ნამდვილად კარგი მეგობარი — იგონებს ირენა და თვალებში თბილი შუქი უდგება.

მსიამოვნებს თანამემამულის შექება, მეამაყება.

— უკანასკნელ წლებში იშვიათად ვწერთ ერთმანეთს. ხომ იცით, ოჯახი, სამსახური, საზოგადოებრივი დატვირთვა — სინანულით ამბობს ირენა, — მაგრამ არაფერია, ალბათ მომავალ წელს კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. სტუდენტებითურთ ვაპირებ თბილისში ჩასვლას.

მართლაც და ძნელია არ დაუჯერო: ქართველები რომ იტყვიან, ალმასივით ორი ბავშვის დედაა. გოგონა ყივილია მე-3 კლასის მოსწავლეა. ძალიან უყვარს მუსიკა. დაინიუსი კი მეშვიდე კლასში სწავლობს. როგორც ყველა ბიჭს, ეტყობა მასაც ფეხბურთი იტაცებს, ხშირად დამინახავს, იღლიაში ბურთამოჩრილი.

მეუღლე რობერტასი მშენებელი ინჟინერია, თან ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში. ბავშვებს თვალყური, ოჯახს მზრუნველობა სჭირდება და ამის გარდა კიდევ რამდენი რამ...

ირენა ვილნიუსის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორია სასწავლო ნაწილის დარგში.

სამსახიობო ოსტატობის კათედრის გამგე.

წლევანდელ დიპლომანტთა კურსის ხელმძღვანელი.

ქ. ვილნიუსის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც 20 000 მსმენელი ჰყავს და ცხრამეტი ფაკულტეტი აქვს: ხელოვნების, მუსიკის, საყოფაცხოვრებო კულტურის და სხვა.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, სადაც იგი ქალთა რესპუბლიკურმა ყრილობამ აირჩია...

— საქმე ბევრია, მთელი დღის განმავლობაში გაკეთებულს ვერც ჩამოთვლი, მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი. როცა საღამოთი, სახლში დაბრუნებული, თვალს გადავავლებ მთელი დღის ნამუშევარს, მიხარია, ნამდვილად მიხარია, რომ იმ დღეს ადამიანებს სარგებლობა მოვუტანე, ბევრს თუ არა, ერთს მაინც.

ირენას ძალიან იტაცებს სპორტი, უქმე დღეებში ქალაქგარეთ გასვლა. ხშირად შინახავს თავის გოგონასთან ერთად გედიმინასის ციხისაკენ, საციგურო მოედანზე მიმავალი, მხარზე თხილამურგადებული.

ყოველთვის კოხტად ჩაცმულ-დახურულს შეხვდებით, ირენას თავისი პატარებითურთ. და ძალაუნებურად გაიფიქრებთ: რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს, თუ მოინდომა!

— რას უსურვებდით ეთერს ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან? ვკითხე დაცილებისას ირენას.

— ეთერს ყოველივე კარგს ვუსურვებ, ხოლო საკუთარ თავს ვუსურვებ გამიმრავლდეს ეთერისთანა ტკბილად მოსაგონებელი მეგობრები.

**დალი გოგეშვილი-ოდიშიენე**

ქ. ვილნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაც უნდა იყვნენ...

ფოტოები: თ. პროხოროვისა, ი. ნიკოლაევისა, ბ. ნაუმენკოსი და ფ. გურგენისა.

ერთსა და იმავე დღეს, მეტსაც ვიტყვი, სულ ერთ წუთში, მე შევხვდი დიდებულ ერმოლოვას და დიდებულ კაჩალოვს, სწორუპოვარ ისტორიკოსს ტარლეს, სახელგანთქმულ ბალერინას ულანოვას, ალექსეი ტოლსტოისა და ოლღა ანდროვსკაიას.

მე დამაბნია ამ წარჩინებულ ადამიანთა სიმრავლემ, ასე ერთბაშად რომ შემომეჯარნენ ამ პატარა, სადად გაწყობილ ოთახში. ეს ადამიანები მიამბობდნენ ქალზე, რომელიც მათ შეიყვარეს.

მიამბობდნენ თამარ აბაშიძეზე. ენა ამოიდგეს კედელზე მიბნეული ფოტოსურათების წარწერებმა, მადლიერებითა და სინაზით გამთბარმა ბარათებმა. წიგნებზე გაკრული ხელით წაწერილმა სტრიქონებმა: „ძვირფას თამარ აბაშიძეს, რომელმაც თავისი დიდებული ხელოვნებით ამ წიგნის ავტორს დაუბრუნა სულიერი ძალები და მკვდრეთით აღადგინა ამქვეყნიური სიხარულისთვის. ევგენი ტარლე".

„სახსოვრად ძვირფას თამარ აბაშიძეს მადლიერებითა და უნაზესი სიყვარულის ნიშნად, ვ. კაჩალოვი".

„თამარ აბაშიძეს სულითა და გულით ვუძღვნი. მარია ერმოლოვა".

„თამარ, გეთაყვანები! ალექსეი ტოლსტოი".

ყველა ისინი თამარ სიმონის ასულ აბაშიძის პაციენტები იყვნენ და ყველა მათგანი მეგობრად ექცა მას. ყოველწლიურად იზრდებოდა ამ მეგობართა სია, ახლა კი, როცა უკან დარჩა ჰიპოკრატეს მოძღვრების სამსახურში გატარებული წლები, მისი მადლიერი მეგობრების რიცხვი, მგონი, უსასრულობამდე გაიზარდა.

მან ოცნებით დაიწყო. ოცნებობდა ექიმი გამხდარიყო და ეს ოცნება მიუწვდომელი ჩანდა: იმ წლებში, ნახევრად უწიგნურ რუსეთში, ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი პირველობდა და თამარს სწორედ ხარკოვში, სწორედ იმ ფაკულტეტზე სურდა ესწავლა. თავად ეს აზრი, უცნობ ქალაქში გამგზავრების აზრიც გმირობას უდრიდა ქართულ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი გოგონასთვის, თამარს კი მხოლოდ ოცნება კი არა, მოქმედებაც უყვარდა. ჰოდა, კიდეც გაემგზავრა გორიდან ხარკოვს, სულ ხუთებზე ჩააბარა მისაღები გამოცდები და თავდავიწყებით დაეწაფა სწავლას...

აუჰ, მას აქეთ რამდენმა წყალმა ჩაიარა! რამდენი რამ ჩაიბეჭდა მისმა გონებამ! გუშინდელივით ახსოვს, გამოსაშვებ საღამოზე განსაკუთრებული სიგელით რომ დააჯილდოეს. ახსოვს ის ძვირად ღირებული გარეგანი უშფოთველობა, პირველი პაციენტი რომ მიიღო... მერე ლენინგრადის კლინიკაში მუშაობა, მოსკოვში გადასვლა, პარიზში, დასახელოვნებლად იმდროინდელი სამედიცინო სამყაროს ქურუმთან, ბრწყინვალე კლინიცისტთან — ვიდალთან გამგზავრება.

თამარი სავარძელში ზის, შვილიშვილმა მზრუნველად გადაახურა ლუნლულა თავშალი. შეფარული ღელვით, ცოტა დაბნეულად მიამბობს თავისი ცხოვრების ამბავს, იხსენებს შეხვედრებს და თითქოს თავიდან იწყებს მდინარებას მისი მთელი ცხოვრება...

— თავადაც არ ვიცი, როგორ ხდება, რომ ჩემი პაციენტები პირველი გაცნობისთანავე ჩემს მეგობრებად იქცევიან ხოლმე, — ამბობს თამარი, და ჩვენც არ ვეკამათებით, თუმცაღა კარგად ვიცით — რატომ, პაციენტისთვის ხომ მთავარი ისაა, ექიმის ნდობა იგრძნოს, თამარ აბაშიძეს კი შეუძლია პირველ შეხვედრისთანავე ჩაუნერგოს ეს ნდობა პაციენტს. ის ხმამაღლა არასოდეს არ გამოთქვამს თავის ვარაუდს, ჯერ ჩაციებით გამოჰკითხავს ყოველ წვრილმანს, ათჯერ მოიფიქრებს, და როცა დიაგნოზს დასვამს, თითქოს საბრალდებო დასკვნას გამოიტანს — გასაჩივრებას აზრი აღარა აქვს.

— მახსოვს, მაშინ ესენტუკში ვცხოვრობდი, ჩემთან შჩეპკინა-კუპერნიკი რომ ჩამოვიდა, ჩემი ახლო მეგობარი...

ტატიანა ლვოვნა მარტო არ ჩასულა. მან გულით მძიმე დაავადებული ქმარი ჩაიყვანა, რომელსაც პეტერბურგელმა ექიმებმა „მჟავე წყლები" გამოუწერეს. თამარმა ავადმყოფი გასინჯა და თქვა:

— იცოდე, თუ კისლოვოდსკში წაიყვან, პირველივე ნარზანის აბაზანაში ჩაწოლის შემდეგ ის იქიდან ველარ ამოვა, მისთვის არც კისლოვოდსკში წასვლა შეიძლება და არც, მით უმეტეს აბაზანის მიღება. დარჩით ესენტუკში და, იქნებ, ღმერთმა ჰქნას და არაფერი მოხდეს.

სტუმრები გვიან წავიდნენ. განთიადისას კი თამარს ეტლი გამოუგზავნეს. მეეტლემ ბარათი გადასცა: „გევედრები, მომეშველე. ქმარს წნევამ დაარტყა". მაშინ მრავალი ღამე გაათენა ავადმყოფის საწოლთან. გადაარჩინა, ფეხზე წამოაყენა.

მას მიმართავდნენ ყველაზე რთულ, ბუნდოვან და გაუგებარ შემთხვევებში. და ისიც თავს როდი არიდებდა, პირიქით, განსაკუთრებული აზარტით, შთაგონებით ჰკიდებდა ხელს მკურნალობას. მაგრამ ის აზარტი ზუსტ ანგარიშს ეყრდნობოდა, შთაგონება — ღრმა ცოდნას. მოსკოვში აქამდე მოდის მადლიერებით სავსე წერილები ფილატოვის სახელობის ინსტიტუტის ერთ ცნობილ ოფტალმოლოგისაგან. პროფესორი ბ. მრავალი წლის მანძილზე ავადმყოფობდა, ფეხი ულპებოდა და ვერაფრით გაეგოთ, რა იყო ამის მიზეზი. თამარ აბაშიძემ მიაგნო პროფესორ ბ-ს სატკივარს.: შეუხორცებელი ჩირქიანი იარები და ტკივილი ლიმფური ჯირკვლის დაავადების შედეგი უნდა იყოს. აი, რას უნდა უმკურნალონ! ორ თვესაც არ გაუვლია, რომ ოდესიდან დეპეშა მოვიდა: „სასწაული მოხდა — ფეხი მიხორცდება!".

მასთან მთელი სიცოცხლის მანძილზე მეგობრობდნენ და მკურნალობდნენ ვასილ კაჩალოვი, ალექსეი ტოლსტოი. ერთხელ (სამამულო ომის დროს, როცა თამარი კისლოვოდსკში ცხოვრობდა) კაჩალოვი ფილტვების ანთებით გახდა ავად და თამარს უხმო. როცა თამარი კაჩალოვთან ჩავიდა, გაიგო, რომ მასთან ერთად კისლოვოდსკის მახლობლად, პატარა სოფელში ასოცი მოსკოველი მსახიობი, მხატვარი და მწერალი — ჩვენი ქვეყნის „ვარსკვლავები", მისი ოქროს ფონდი დასახლებულიყო. თორმეტი დღე დაჰყო



თ. აბაშიძე

იმ მხარეში, ყველა მოინახულა, გასინჯა; ვისაც სამკურნალო ჰქონდა რამე, უმკურნალა. მაგრამ ამ ასოციდან განსაკუთრებით ერთმა დააინტერესა. ეს გახლდათ მხატვარი იგორ გრაბარი. მას არაფერი სტკიოდა, მაგრამ უკვე ორი წლის მანძილზე, ორ კვირაში ერთხელ, სიცხეს აძლევდა. უცბად ორმოც გრადუსამდე აუწევდა და ერთ დღეში ისევ დაბლა დაეცემოდა. ძნელი იყო ამ გასაოცარი მოვლენის ახსნა. თამარი ჩაუკვირდა: როგორ მუშაობს გული? რა მდგომარეობაშია ფილტვები, ღვიძლი? როგორ ჭამს, სძინავს, ისვენებს პაციენტი? რა წამლებს იღებს? — სასაქმებელს? მერე, ხშირად? ორ ცვირაში ერთხელ? მაგრამ, სიცხეც რომ ორ კვირაში ერთხელ უწევს?

მან გამოიცნო: თურმე გრაბარი იწამლებოდა — წამალი მის ორგანიზმში ტოქსინებს გამოჰყოფდა და სიცხეც ამიტომ უწევდა...

იზრდებოდა მისი პაციენტების რიგი და ამასთან ერთად იზრდებოდა პროფესიისადმი მისი მძაფრი სიყვარულიც. ახლა უკვე ვეღარც დაითვლი, რამდენ ასეულ, არა — ათასეულ ადამიანს დაუბრუნა ჯანი...

ის დიდებულად ფლობს მედიცინაში არსებულ ყველა საშუალებას — გომეოპატურს, ალოპატურსა თუ ხალხურს და როცა ავადმყოფს მკურნალობს, ყველა ამათ, თამამად უხამებს ერთმანეთს, ყველაზე მეტად კი მაინც გომეოპატია უყვარს და სწამს: მომავალი გომეოპატიას ეკუთვნის.

ახლა თამარი ოთხმოცდახუთი წლისაა. არჩეული პროფესიის სიყვარული სამოცდახუთი წლის მანძილზე კი არ განელებია, არამედ ისევ ისე უღვივის, როგორც სიჭაბუკის დროს.

ყველგან, სადაც უნდა იყოს, რა საქმესაც უნდა აკეთებდეს ქართლის ასული — თამარ აბაშიძე, ის თავის რესპუბლიკას ახახელებს. საქმე კი ერთი აქვს — მეგობართა განკურნება!

* * *

ლენინგრადში ცხოვრობს ელისაბედ ლუარსაბის ასული ანდრონიკაშვილი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი ობსერვატორიის ვეტერანი, სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი, ყველასაგან პატივცემული ადამიანი. გასული წლის ბოლოს, როცა მას სამოცდაათი წელი შეუსრულდა, კოლეგებმა და მეგობრებმა საზეიმო სადამოზე გულთბილი სიტყვები უთხრეს, მოიგონეს ერთად გატარებული წლები, ხოლო შემდეგ სიტყვა იუბილარს დაუთმეს. და ელისაბედ ლუარსაბის ასულმა ყველას გასაგონად თქვა ის, რასაც მარტოდ დარჩენილი ეტყოდა თავისთავს.

— ჩემო ძვირფასებო, — თქვა მან, — მე ორი ძმა მყავს. ერთს უნდოდა ყოფილიყო ფიზიკოსი და კიდეც გახდა. მეორე ოცნებობდა მწერლობაზე — მისი ოცნებაც ასრულდა. მე არასდროს არ ვფიქრობდი ვყოფილიყავი ბიბლიოგრაფ-მეტეოროლოგი, ცხოვრებამ მიმიყვანა ამ პროფესიამდე, მაგრამ მე ვიპოვე მასში ჩემი თავი და ამქვეყნად მას არაფერზე არ გავცვლი.

გეოფიზიკურ ობსერვატორიაში იგი შრომის ბირჟამ გამოგზავნა. ეს იყო ოცდაათიან წლებში. იგი ჩარიცხეს კლიმატოლოგიის განყოფილებაში ჯერ ტექნიკოსად, მერე უმცროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო ორი წლის შემდეგ გამოვიდა პირველ გეოგრაფიულ ყრილობაზე მეცნიერული მოხსენებით უდაბნოთა კლიმატური ტიპის შესახებ.

მას უყვარდა წიგნებში ქექვა, უმცროსმა ძმამ ირაკლიმ შეასწავლა ბიბლიოგრაფია. სამი ენის — ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის ცოდნამ შეაძლებინა წიგნების უკიდეგანო ოკეანეში ისე ეგრძნო თავი, როგორც გამოცდილ კაპიტანს. მალე კი კლიმატოლოგიის განყოფილებას, სადაც ელისაბედ ლუარსაბის ასული მუშაობდა, მისი ძიებებისა და კონსულტაციების გარეშე არსებობა არ შეეძლო.

ომმა კვალი დააჩნია უფროსი თაობის ადამიანებს. ელისაბედ ლუარსაბის ასულს კი — განსაკუთრებით. მან გადაიტანა ლენინგრადის ბლოკადა, დაეღუპნენ ახლობლები, ბლოკადაში დაიღუპნენ დედა და დეიდა, მეგობრები, ნაცნობები. იგი მარტო დარჩა.

როცა ობსერვატორია სვერდლოვსკში იქნა ევაკუირებული, ელისაბედ ლუარსაბის ასული სხვა გადარჩენილ თანამშრომლებთან ერთად იქ გაემგზავრა. უფრო სწორად, კი არ გაემგზავრა, წაიყვანეს გონდაკარგული, ისე რომ სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

სვერდლოვსკის ლაზარეთში ნემსის გაკეთების შემდეგ გონს მოვიდა. თვალი გაახილა და დაინახა წვერიანი მამაკაცი, მას თან ახლდა ახალგაზრდა კაცი. ისინი მის საწოლთან ისხდნენ. იგი ჩუმად ადევნებდა თვალყურს, როგორ ფუსფუსებდნენ უცნობი ადამიანები, როგორ რეკავდნენ სადღაც, დიდხანს და მოთმინებით, რათა მოეხერხებინათ მისი საავადმყოფოში გაგზავნა. ძალა გამოლეული და თვინიერი იგი ხელით შეიყვანეს მანქანაში.

საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ვისთანაც ელისაბედ ლუარსაბის ასული მიიყვანეს, გაოცდა: ის სწრაფად ხდიდა ფეხზე მიყინულ თექის მაღალყელიან ფეხსაცმელებს და ხედავდა, რომ მედიცინის კანონების საწინააღმდეგოდ, იგი სუნთქავდა, თუმცა წარმოუდგენელი იყო, რაში ედგა სული. მთელი ღამე ექიმს თვალი არ მოუხუჭავს. ერთი წუთით არ დაუსვენია. დროდადრო ავადმყოფს აზრი უბრუნდებოდა, და მაშინ მთავარი ექიმი აწვდიდა კოვზით ბულიონს ან წამალს. ეს უცნობი ადამიანი მისთვის იყო არა მხოლოდ ექიმი, არამედ მომვლელიც.

ერთხელ ხმა ამოიღო და ძლივს გასაგონად 'იკითხა: — ექიმო, მე ცოცხალი დავრჩები?

ექიმს, როგორც ბავშვს, ისე გაეხარდა:

— თქვენ უკვე გადარჩენილი ხართ.

ექიმი ამაყობდა პაციენტით. მის განკურნებას თავის დამსახურებად თვლიდა. ყოველ დღე მიდიოდა პალატაში, „მაპატიეთ“ — ამბობდა და უტოვებდა თავისი ულუფის ნაწილს — მას ხომ ძალის აღდგენა სჭირდებოდა.

საიდან გაჩნდნენ ადამიანები, ასეთი მზრუნველიურნი? სვერდლოვსკში მგზავრობისას მან გზაში ყველაფერი დაკარგა, თავდაპირველად ის ამაზე არც კი ფიქრობდა, ახლა კი... ელისაბედი ხელს ისვამდა თავზე, თმები გაზრდია, უცბად გაჩენია ჭაღარა, მაგრამ ხელით ვერ დაივარცხნის! ეტყობოდა, ირგვლივ ყველანი კითხულობდნენ მის ფიქრებს. ვილაცამ მოიტანა სავარცხლის ნატეხი (იმ წლებში ეს სიმდიდრე იყო), ვილაცამ საჩუქრად ფინჯანი მისცა. არა, საიდან მოვიდნენ ეს უცხო ადამიანები, უცბად ასეთი ახლობლები რომ გახდნენ?

ორმოცდაოთხის აგვისტოში ობსერვატორია ლენინგრადში დაბრუნდა. მისი შენობა ყუმბარებმა დააზიანეს. შიგნით ყველაფერი დანგრეული იყო და თანამშრომლებმა შენობის წესრიგში მოყვანა იკისრეს. ელისაბედ ლუარსაბის ასულს ბიბლიოთეკა უნდა აღედგინა. მსოფლიოში უძველესმა სამეცნიერო-ტექნიკურმა ბიბლიოთეკამ არსებობის ასოცი წლის მანძილზე 100 ათასზე მეტ ტომს მოუყარა თავი. მის მდიდარ ფონდში ინახებოდა იშვიათი გამოცემები, იგი იყო ობსერვატორიის ტვინი, მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი.



ე. ანდრონიკაშვილი



ნ. ასათიანი

ანდრონიკაშვილმა იცოდა: წიგნების მცირე ნაწილი წაიღეს სვერდლოვსკში, დანარჩენი ლენინგრადში დარჩა. სად არის ისინი, სად არის კატალოგები? ეძიოს ნაგვის გროვაში? ვის კითხოს, როცა ყველა, ვინც კი ბიბლიოთეკას ემსახურებოდა, ბლოკადის დროს დაიღუპა.

მან საინვენტარო ჩანაწერების ძებნით დაიწყო. შემდეგ გადარჩენილი კატალოგების ნაწილი აღმოაჩინა.

თანდათანობით აღდგა ბიბლიოთეკა. გაფართოვდა შენობა, გაიზარდა შტატი. ელისაბედ ლუარსაბის ასულს ვერც კი წარმოედგინა, თუ ბიბლიოგრაფის და ორგანიზატორის ასეთი ნიჭი ექნებოდა.

და უცბად აღმოჩნდა, რომ საბიბლიოთეკო სამუშაო მისი მოწოდებაა. უფრო მეტიც — მისი მისწრაფებაა. მან ჩამოაყალიბა ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტი. ლენინგრადიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით გახსნა ფილიალი, სადაც ობსერვატორია ექსპერიმენტულ სამუშაოებს აწარმოებს, შეაგროვა ობსერვატორიის მიერ ასი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ყველა შრომა და შეადგინა მათი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

ყველა მეცნიერი მუშაობას ბიბლიოთეკიდან იწყებს. აქ კი მის სამსახურშია ელისაბედ ლუარსაბის ასულის ენთუზიაზმი, ერუდიცია და გასაოცარი მეხსიერება. იგი მზადაა დღედაღამ იჯდეს თაროებთან, ქექოს წიგნები მასალების ძებნაში. იგი მზადაა დაეხმაროს დამწყებ მუშაკებს სულ სხვადასხვა მიმართულების გამოკვლევებში, იგი ყველას დასახმარებლად მზადაა.

მას მოუსვენარი სამუშაო აქვს. შეეძლო უფრო წყნარად ყოფილიყო, მაგრამ ეს არ ეგუება ანდრონიკაშვილების ხასიათს.

— იცით, რას ამბობდა ჩემი მასწავლებელი, ევგენია სამუელის ასული რუბინშტეინი? — მეკითხება ელისაბედ ლუარსაბის ასული და მე ვიჭერ მის ხმაში ნაცნობ ინტონაციებს. დიახ, ეს ხომ მისი ძმის ირაკლის ინტონაციაა — ცოცხალი და შეუდარებლად ნათელი, ყოველი ჟესტით და ყოველი სიტყვით დამარწმუნებელი! — მაშ ასე, იცით, რას ამბობდა რუბინშტეინი? ის ამბობდა: წყნარი სამუშაო არ არსებობს, არიან წყნარი, უფრო სწორად, გულგრილი ადამიანები...

* * *

მოსკოვში, ჩერემუშკებში არის ერთი ლაბორატორია, რომელიც მეტყველების პათოლოგიის პრობლემებზე მუშაობს. აქ მიმართვის გარეშე მოსვლა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც დახმარება სჭირდება. ავადმყოფებს ერთსა და იმავე დროს ექვსი ექიმი იღებს, კონსულტაციას უწევენ, საგულდაგულოდ იკვლევენ.

ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ნინო ასათიანი, ქალიშვილი გამოჩენილი მეცნიერის მიხეილ ასათიანისა, რომლის სახელს ღირსეულად ატარებს თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. იგი თავიდანვე მამის კვალს გაჰყვა და შესანიშნავი სკოლა გაიარა. მისი პირველი მასწავლებელი იყო აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი. იგი ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, ნინოს მოძღვარი და გულითადი მეგობარია.

ნინო ასათიანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ბრწყინვალე კლინიცისტთან — ვასილ ალექსის ძე გილიაროვსკისთან სწავლობდა ასპირანტურაში. ცხრა წელი აკადემიკოს ივანოვ-სმოლენსკის კლინიკაში მუშაობდა კლინიცისტად და ექსპერიმენტატორ-მკვლევარად, წლების მანძილზე იმუშავა გამოჩენილ ფსიქიატრებთან — ოლეგ ვასილის ძე კერბიკოვთან, ანდრია ვლადიმერის-ძე სნეჟნევსკისთან, და ბოლოს, პროფესორ გიორგი ვასილის-ძე მოროზოვთან, რომელმაც ნინო ასათიანი მიიწვია. ვ. პ. ერბსკის სახელობის ინსტიტუტში მეტყველების პათოლოგიის ლა-

ბორატორიის გამგედ. იმ ლაბორატორიისა, რომელსაც ნინო დღეს ხელმძღვანელობს და, რომელიც მუშაობს კლინიკის პრობლემებზე; ნევროზებისა და ფსიქოპატიის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე.

ახლა ნინოს თავისი მოწაფეები ჰყავს — ვიაჩესლავ კაზაკოვი, თამარ სოკოლოვა, ევგენია მატვეევა, — ისინი ნინოს ხელმძღვანელობით დისერტაციის დასაცავად ემზადებიან, მუშაობენ ლაბორატორიისათვის სასიცოცხლო პრობლემების დამუშავებაზე. ნინოსაგან მისი მამა და მასწავლებლები მოითხოვდნენ დაუღალავ ძიებას, გაუკვალავ გზებზე უშიშრად სიარულს, დაავადების წინააღმდეგ ეფექტური მეთოდების აღმოჩენას. ამასვე მოითხოვს თავის მოწაფეებისაგან ნინო ასათიანი, ანალიტიკური გონების, ღრმა ცოდნისა და დიდი გულის ადამიანი.

დიდი გონების წინაშე მე თავს ვიხრი, დიდი გულის წინაშე მუხლებსო, — ამბობდა გოეთე. ჩვენც მოვიხაროთ მუხლი ნინოს წინაშე!



ნ. ლორთქიფანიძე

* * *

ჩვიდმეტი წლისა იყო ნათელა ლორთქიფანიძე, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი რომ გახდა. მისმა პირველმა მასწავლებლებმა — აკაკი ხორავამ, გიორგი ტოვსტონოგოვმა და დოდო ალექსიძემ ხელოვნებისადმი ნამდვილი ინტერესი გაუღვიძეს.

ერთი წლის სწავლის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა და თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები. 1950 წელს თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. გულმა ჟურნალისტობისაკენ გაუწია, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციაში, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ 22 წელი გავიდა. 22 წელია ნათელა ჟურნალისტიკას ემსახურება, ბევრს მოგზაურობს, უამრავ ადამიანს ხვდება. ეცნობა ცხოვრებას, წერს და, კვლავ მოგზაურობს. მაგრამ სადაც უნდა იყოს, არასოდეს ივიწყებს თავისი შემოქმედების თავდაპირველ თემას — საქართველოს ხელოვნებას. გაზეთ „იზვესტიაში" გამოაქვეყნა წერილი ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი ოსტატობის შესახებ; ჟურნალ „თეატრში" — ქართული თეატრის ახალგაზრდა რეჟისორებზე; „კომსომოლსკაია პრავდაში" — ქართული კინოს ახალგაზრდა რეჟისორებზე. კრებულში — „საბჭოთა კინოს მსახიობები" იბეჭდება მისი პორტრეტი საქართველოს სახალხო არტისტ დავით აბაშიძეზე. „ნედელიაში", სადაც ნათელა ლორთქიფანიძე ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას განაგებს, დაიბეჭდა მისი ნარკვევი საქართველოს კულტურის შესახებ...

მშობლიური ხელოვნეპის წარმატება და მიღწევები ჟურნალისტი ქალის ცხოვრებისა და შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა.

* * *

უფროსი ლაბორანტობა ერთი შეხედვით უმნიშვნელო და შეუმჩნეველი თანამდებობაა. ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ვაშაკიძე ლენინგრადში, პულკოვოს ობსერვატორიაში სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობს, მაგრამ მისი კოლეგებისაგან იმდენი თბილი სიტყვა და მნიშვნელოვანი რამ მოვისმინე ნადეჟდას მუშაობის შესახებ, რომ დავრწმუნდი, არც თუ ისე უმნიშვნელოა მისი საქმე. იგი კავშირს ამყარებს ვარსკვლავებთან. ეს მეტაფორა როდია. მისი მოვალეობაა შეისწავლოს ვარსკვლავთა მოძრაობა, შეადგინოს ვარსკვლავების კატალოგი, და ამას იგი აკეთებს არა მარტო კეთილსინდისიერად, არამედ შთაგონებითაც.



ნ. ვაშაკიძე

და განა შთაგონება არ ამოძრავებს მოსკოვის კურორტოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს ეთერ ლომთათიძეს, რომელზეც მისი კოლეგები ამბობენ: იგი ყველაფერს მთელი გულით აკეთებსო.

მთელი გულით აკეთებენ თავიანთ საქმეს ლენინგრადის პედიატრიის ინსტიტუტის ახალგაზრდა ფარმოგენეტიკოსი მედეა მხეიძე, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, ნიჭიერი მომღერალი მაყვალა კასრაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა ჟვანია...

ქართველი ქალიშვილები, სადაც უნდა ცხოვრობდნენ და შრომობდნენ, ღირსეულად და პატიოსნად ემსახურებიან სამშობლოს.

**ლეონიდ როსტოვცევი,**
მოსკოვი.



მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე დგას ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის მეხოტბის, გენიალური ქართველი მგოსნის — შოთა რუსთაველის დიდებული ქანდაკება.

ამ ქანდაკების ავტორია გამოჩენილი ქართველი ხელოვანი მერაბ ბერძენიშვილი.



მოსკოვში კინოს სახლს ამშვენებს კობა გურულის შესანიშნავი ჭედური ნამუშევრები „გაზაფხულის გამოცოცხლება" და „ქალმებელა".



მოსკოვში, მინსკის გზატკეცილის ორმოცდამეხუთე კილომეტრზე შენდება ქართული რესტორანი — „ივერია". ასეთივე ეროვნულ რესტორნებს აშენებს ჩვენი ქვეყნის სხვა თოთხმეტი რესპუბლიკა მოსკოვის ირგვლივ და ეს თხუთმეტი შენობა — შესანიშნავი ეროვნული ხუროთმოძღვრების თხუთმეტი ნიმუში სარტყელივით შემოევლება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს, როგორც ჩვენი ურღვევი ერთიანობის კიდევ ერთი სიმბოლო.

გარდა ძირითადი დარბაზისა, რომლის ინტერიერი ქართულ ოდას ჰგავს და 120 კაცს დაიტევს, „ივერიას" ექნება მშვენიერი მარანი, სამწვადე, საბანკეტო, ბარი და საგამოფენო დარბაზები, სადაც მოეწყობა გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, ეროვნული სუვენირების მაღაზიები.

„ივერიას" ქართველი მშენებლები, ქვისმთლელები და ხუროები აშენებენ. აქედან იგზავნება თეთრი წყაროს ყვითელი ტუფი, გრანიტის, მარმარილოს და ბაზალტის მოსაპირკეთებელი ფილები. რესტორნის ინტერიერები მხატვრულად გაფორმდება ქართული კერამიკით, ჭედურობით, ფერადი ვიტრაჟებით.

„ივერიის" პროექტის ავტორები არიან ცენტროსოიუზპროექტის თბილისის ფილიალის არქიტექტორები ლ. მუშკუდიანი და ნ. გოგორიშვილი.

რესტორან „ივერიას" ჩვენი რესპუბლიკა საჩუქრად გადასცემს მოსკოვის მშრომელებს ჩვენი მეგობრობის 50 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად.

# საქართველოს მათი მეორა ეზრანელი დედა



## ევგენია აგაბეკოვა-გოძიაშვილი

ამ ადრინდელ მკვიდრთა შორის ბევრია ახლომეზობელთაგანი — თავისი ღვაწლით მთელი ქალაქის ნაცნობი... ევგენია აგაბეკოვაც ამათგანია.

მამა, ქალაქში პირველ თერძად ითვლებოდა — პარიზის გამოფენის დიდი პრიზი მისი ჯილდო იყო. დედა — ნატო მრავიანი, კეთილი და განათლებული ქალი, მთელ თავის ცოდნასა და გულმოდგინებას ბავშვების აღზრდას ახმარდა. მაინც, ამის მიუხედავად, მის ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიჭირა რევოლუციამ, აგაბეკოვების სახლი ცნობილ ბოლშევიკთა თავშესაფარი იყო.

ევგენია თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და კონსერვატორიის აღზრდილია. აქედან დაადგა იგი პიანისტის რთულსა და წარმტაც სავალს, აქედანვე წამოიღო ადამიანების დიდი სიყვარული. რომელიც მთელ ცხოვრებაში სულის განძად და საგზლად შემორჩა.

ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის კონსერვატორიების შეჯიბრებაზე აქაურ პიანისტთაგან მეორეკურსელი ევგენია შეარჩიეს, რომელმაც თბილისის კონსერვატორიის სახელით გაიმარჯვა.

სავსედ იცხოვრა. წარმატებებით, სახელით, პატიოსნებით.

ევგენია აგაბეკოვა არა მხოლოდ თავისი მაღალი შემოქმედებით არის შინაური და თავისიანი ქართული საზოგადოებისა, იგი ქართველების რძალია, ჩვენი საამაყო ვასო გოძიაშვილის მეუღლეა, თბილისელია.

თბილისმა იცის ამ მანდილოსნის ფასი და, საერთოდ, ყველა მეგობრის ფასი იცის თბილისმა.

## ირინე ივანეს ასული შატილოვა

ირინე შატილოვა დაიბადა 1931 წელს თბილისში. დედამისი ტატიანა ალექსანდრეს ასული შატილოვა სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგე და ცნობილი პროფესორია. 1955 წელს ირინე შატილოვამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში, პალეობოტანიკის განყოფილებაში. ირინე შატილოვამ 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პალინოლოგიაში, ექვსი წლის შემდეგ სადოქტორო დისერტაცია: „დასავლეთ საქართველოში გვიანდელი მესამეული და მეოთხეული ხანის მცენარეთა საფარის განვითარება“. ამ თემის არჩევა მეცნიერისათვის შემთხვევითი არ ყოფილა. დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე მესამეული და მეოთხეული ხანის ნალექები სრულად არის წარმოდგენილი და ფაუნისტურად კარგად დათარიღებული. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს მცენარეულობა თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი ისტორიისა და განვითარების კანონზომიერების დადგენა მეცნიერ-სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი ამოძრავებს ირინე შატილოვასაც.

## იდა პანოს ასული მანდენოვა

იდა მანდენოვას ბავშვობა, ახალგაზრდობა და მთელი ცხოვრება საქართველოსთან არის დაკავშირებული. იგი დაიბადა 1907 წელს თბილისში. აქვე მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. მან 1939 წელს დაამთავრა სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიზაციისა და გეოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ მუშაკად, დღეს კი ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკია. იდა მანდენოვამ 1944 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კავკასიური ლილია.“ ხოლო 1960 წელს მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „ქოლგოსანთა ოჯახი“. იდა მანდენოვა 40-მდე შრომის ავტორია. მისი შრომები შესულია „საქართველოს ფლორის“ რვატომეულში, და სსრ კავშირის ფლორის“ 30 ტომიან გამოცემაში. ამჟამად იდა მანდენოვა მონაწილეობას ღებულობს „საქართველოს ფლორის“ მეორე გამოცემის მომზადებაში.

# ევგენია ივანეს ასული დუდჩენკო

ევგენია ივანეს ასული დუდჩენკო დაიბადა 1916 წელს უკრაინაში, სტავროპოლის მხარეში, სოფელ ნიკოლაევსკოეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ევგენია დუდჩენკო როსტოვის მიქოიანის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობდა მუშად. იგი ფაბრიკასთან არსებული სამწლიანი მოსამზადებელი კურსების დამთავრების შემდეგ 1988 წელს მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში ჩაირიცხა. 1988 წელს ევგენია დუდჩენკომ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ევაკუაციის გამო, დუდჩენკო ოჯახით თბილისში დასახლდა. იგი ჯერ ტყავგალანტერიის ფაბრიკაში მუშაობდა, შემდეგ მსუბუქი მრეწველობის ლაბორატორიაში. 1946-58 წლებში კი თავისი სპეციალობის მიხედვით მინისტრთა საბჭოში იყო რეფერენტად. ევგენია დუდჩენკო 1958 წლიდან მუშაობს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო ამჟამად მინისტრის პირველ მოადგილედ. დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" „შრომითი მამაცობისათვის" და სხვა.

— დღეს ჩემი ფიქრი, ზრუნვა და შრომა საქართველოს ეკუთვნის. ის ჩემი მეორე დედასამშობლოა, ჩემს უკრაინაში გაურჩეველი, მასავით ტკბილი და მშობლიური. მე მახარებს, რომ მის დღევანდელ ყოფას ჩემი პატარა წვლილიც ატყვია, — ამბობს ევგენია დუდჩენკო.

# ზაჰიდათ მაჰომედის ასული მაჰომედბეკოვა

ზაჰიდათ მაჰომედბეკოვა დაღესტანში, სოფელ ხუნძახში დაიბადა 1928 წელს. მახაჩყალაში დაამთავრა საშუალო სკოლა და პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის ფაკულტეტი. 1946 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრაზე ასპირანტად. ხუნძმა ქალიშვილმა კავკასიური უმწერლობო ენების მეცნიერულად შესწავლას მოჰკიდა ხელი. მისი საკანდიდატო დისერტაციის საგანიც უმწერლობო ახვახური ენა იყო. 1949 წელს ზაჰიდათმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია — „ახვახური ენის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორია". 1951 წელს ზაჰიდათმა მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილებაში, რომელსაც აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ხელმძღვანელობს. მიმდინარე წლის ივლისში ზაჰიდათმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა კარატული ენის შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს კარატული და ახვახური ენების მონოგრაფიები. იგი 30-მდე მეცნიერული შრომის ავტორია.

ზაჰიდათ მაჰომედბეკოვა თბილისის მკვიდრი და ქართველების რძალია. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის პროფესორის, ტოგო გუდავას მეუღლე და ორი შვილის — მანანა და ირაკლი გუდავების დედა. მისი შვილები დედამისის კვალს მიჰყვებიან, ენათმეცნიერებას ეუფლებიან, მანანა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის არაბული ენის განყოფილების IV კურსის სტუდენტია, ირაკლი ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე სწავლობს „ეს ცა და მიწა ჩემს დაღესტანს მაგონებს, ხოლო ქართველი ხალხი, თავისი ბუნებითა და გულისხმიერებით, ჩემ მშობლიურ ხალხს. ალბათ, ამიტომაც იქცა აქაურობა ჩემს მეორე სამშობლოდ, ჩემი შვილების მამაპაპურ კერად".



ი. შატილოვა



ი. მანდენოვა

ე. დუდჩენკო



ზ. მაჰომედბეკოვა







მ. იანკოვსკაია-

ა. ტაურინში

ფოტო ლ. იაკობაშვილისა



ა. რზაევა

# აუსტრა ქარლის ასული ტაურინში

აუსტრა ტაურინში ლატვიაში, ქალაქ რი
გაში დაიბადა 1925 წელს. აუსტრამ პირ
ველდაწყებითი განათლება რიგის კლასიკურ
გიმნაზიაში მიიღო. როცა ლატვიაში საბჭო
თა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, აუსტრა ტა
ურინში ახალგაზრდათა კომუნისტური კავ
შირის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა
მეორე მსოფლიო ომმა 16 წლის გოგონ
მშობლიურ მხარეს მოწყვიტა და ევაკუა
ციით ჩუვაშეთში გადაიყვანა. — ყოველ
დღე წერილებს ვაგზავნიდი მოსკოვში, ომ
ში წასვლას ვთხოულობდი, — იგონებს ტა
ურინში. 1942 წელს სპეციალური სამხედ
რო სკოლის გავლის შემდეგ, გოგონა მზვე
რავად გაამწესეს. ჯერ ბელორუსიაში იბრ
ძოდა პარტიზანების მხარდამხარ, შემდეგ
ლატვიაში გადავიდა და იქ დაუკავშირდ
ლატვიის პარტიზანთა ჯგუფს „საბჭოთა ხე
ლისუფლებისათვის", რომელსაც ლეგენდა
რული ლატვიელი გმირი იმანდს სუდმალ
ხელმძღვანელობდა. პარტიზანები აგროვებ
დნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდის მასალებს
იგებდნენ მტრის სამოქმედო გეგმებს, სწავ
ლობდნენ გერმანელ ჯარისკაცთა განწყობი
ლებას, აუსტრა ტაურინშმა მრავალჯერ შეძ
ლო ფრონტის ხაზზე გადასვლა და ჩვენ
არმიისათვის საჭირო ცნობების მიწოდება.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ
აუსტრა მოსკოვში, პროფკავშირული მოძ
რაობის უმაღლეს სკოლაში გაგზავნეს სას
წავლებლად, სადაც გაეცნო იური ალექსანდ
რეს ძე მელიქიშვილს, რომელიც აუსტრამ
თავისი ცხოვრების თანამგზავრად აირჩია
აუსტრა ტაურინში-მელიქიშვილი ერთხანს
ჟურნალისტობას ეწეოდა. მუშაობდა რედაქ
ტორად გაზეთ „ლატვიის რკინიგზელში"
კორესპონდენტობდა გაზეთ „ტინიაში" დ
„ზარია ვოსტოკაში". აუსტრა წლების მან
ძილზე თბილუნივერმაღის საწარმოო კომბი
ნატის მკერავი და კომბინატის მუშაკთ
უცვლელი აგიტატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუსტრა დაჯილდოებულია მედლებით: „სამამულო ომის პარტიზანი“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „სამახსოვრო მედლით“ და სხვა. ლატვიელი ქალი აუსტრა ტაურინში ქართული ოჯახის კარგი დიასახლისი და სამი შვილის ღირსეული დედაა.

## ალამზარ მამედალი-ყიზი რზაევა

ალამზარ რზაევა თბილისელია. იგი 1924 წელს დაიბადა. საშუალო განათლება თბილისის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის სკოლაში მიიღო. 1945-48 წლებში ალამზარი ქ. ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი კვლავ თბილისში დაბრუნდა და თავის ყოფილ სკოლაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ალამზარ რზაევამ სკოლაში შექმნა ლიტერატურის წრე. სადაც მოსწავლეებს მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურას აცნობს. ალამზარისთვის განსაკუთრებით მახლობელია ქართველი ხალხი, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება. იგი კარგად ფლობს ქართულ ენას, ორიგინალში კითხულობს ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებას და თანამედროვე პოეტთა და პროზაიკოსთა ნაწარმოებებს. ალამზარი 16 წელია მუშაობს საქართველოს სსრ რადიოკომიტეტში აზერბაიჯანულ გადაცემათა დიქტორად და ხელს უწყობს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მიღწევების ურთიერთგაზიარებასა და მეგობრობის განმტკიცებას.

11813

## ვიოლეტა მიხეილის ასული იანკოვსკაია

ვიოლეტა იანკოვსკაია საქართველოს მკვიდრია. იგი თბილისში დაიბადა 1938 წელს. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ, 1955 წელს, ვიოლეტა პიონერხელმძღვანელად მუშაობდა. ენერგიული ქალიშვილი მოკლე ხანში დაწინაურდა ხელმძღვანელ მუშაკად. ჯერ 37-ე საშუალო სკოლის კომკავშირის განთავისუფლებული მდივანი იყო, შემდეგ ოქტომბრის რაიონის კომკავშირის რაიონული კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე. 1959 წელს იგი აირჩიეს ამავე რაიონის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად. 1961 წელს გადაიყვანეს პარტიის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1968-70 წლებში მუშაობდა 37-ე საშუალო სკოლის დირექტორად. ახლა ვიოლეტა იანკოვსკაია ოქტომბრის რაიონის პარტიის რაიონული კომიტეტის მესამე მდივანია.



ფოტო ა. ილინასი

ყოველ წელს, ყოველ დღე სულ უფრო ლამაზდება ლატვიის დედაქალაქი რიგა. ამ სილამაზის საფუძველი მშრომელი ხალხის შრომა და საბჭოთა ხალხის მეგობრობაა. რიგელებმა იციან ამის დაფასება. ამაზე მეტყველებს მოძმე რესპუბლიკების იმ ქალაქების გერბები, რომელთანაც რიგას განსაკუთრებული მჭიდრო მეგობრული კონტაქტები აქვს. ეს თავისებური ძეგლი აღმართულია ცნობილი დომსკის საკონცერტო დარბაზის წინ, რომელსაც რიგის ყველა სტუმარი ეწვევა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორჯონიკიძის ქართულ სკოლაში

ამ სკოლის ცხოვრება ბევრ ქართველს აინტერესებს, ბევრს უხარებს გულს მისი მუშაობის წარმატებები, სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეების კეთილი საქმეები... ჩვენ გამონაკლისები როდი ვიყავით. ჯერ ყაზბეგში ჩავედით, მასწავლებლებს შევხვდით, ვისაუბრეთ აღზრდისა და სწავლების მტკივნეულ საკითხებზე, აქედან სულ ახლოს კი, ქალაქ ორჯონიკიძეში, თავის მოკრძალებულ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს აკაკი წერეთლის სახელობის ქართული საშუალო სკოლა და, აბა, გული როგორ მოგვითმენდა, იქაც არ მივსულიყავით, არ შევხმიანებოდით, სხვა თუ არაფერი, ჩვენი სითბო და სიყვარული არ გვეჩვენებინა.

გზას დილით ადრე გავუდექით, ისეთ მაღალ კლდეებში მოქცეულ გზას, ხანდახან რომ გახედავ, და გული საგულეს აღარ გეტევა.

...კარგი იყო ეს დილის მგზავრობაც. სულსა და გულს სიამეს ჰფენდა ალპიური ყვავილების გამაბრუებელი სურნელი, ხასხასა ბალახოვანი ფერდობები, თერგის გუგუნი.

მოსწავლეები ის-ის იყო იკრიბებოდნენ, გამოცდები ჰქონდათ მეათეკლასელებს... კიბეებზედვე შევეხმიანეთ რეხვიაშვილებსა და ჩქარეულებს, ბეგოიძესა და სოლინაშვილს, საბაურსა და გუჯრაიძეს, და ვინ მოსთვლის კიდევ ვის, ამ სკოლაში ხომ დღეისათვის 320-მდე მოსწავლეა. მერე მასწავლებლები, სკოლის ამაგდარი ხელმძღვანელი სოფიო ელიაშვილი, ქართული სკოლისათვის თავდადებული, თან მეტისმეტად მოკრძალებული ქალი, ერთი სიტყვით, იმ ადამიანთა რიცხვიდან, რომელთა შესახებ დიდი ილია ასე ამბობდა: — „სიკეთის მომქმედნი კატასავით არ ჩხავიან, არ ყვირიან საჯაროდ: — აი, რა კაცები ვართო. უფრო ბევრი მათგანი სადმე კუნჭულშია მიმალული და ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩემი სინდისი მეტყვისო: „ჩემი ცხოვრება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო“. დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია... საყოველთაო სიკეთის ლაზათი ამაშია, ამათში: იღწვიან, საქმობენ, მხნეობენ საყოველთაო საკეთილოდ და, დახეთ მათს პატიოსნებას, მათს ზნეობითს აღმატებულებას, რომ სახელის გამოჩენაც არ უნდათ“.

სოფიოს მამა აქ პიატიგორსკიდან მოსულა. როცა გაუგია, ორჯონიკიძეში არის ქართული სკოლა, უზომოდ გაუხარია და გადაუწყვეტია, რომ მის სათაყვანებელ ქალიშვილს აუცილებლად ეს სასწავლებელი დაემთავრებინა.

ამ სკოლისადმი მამის ეს უსაზღვრო სიყვარული თუ გადაედო სოფიოს, თორემ აბა რით უნდა ავხსნათ ის, რომ მან ჯერ კიდევ პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა, აქ დაიწყო მუშაობა ისტორიის მასწავლებლად 1941 წლიდან, ხოლო 1952 წლიდან კი ამ სკოლის უცვლელი დირექტორია.

მეათეკლასელებს გამოცდებზე ვესტუმრეთ. ისტორიის მასწავლებელმა ციალა ქისტაურმა საგამოცდო ბილეთები მაგიდაზე გაშალა. გამოცდას სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვერა ფიცხელაური ესწრებოდნენ. საგნის მასწავლებელს ვთხოვეთ, თუ ეს გამოცდის თანამიმდევრობას არ დაარღვევდა, პირველად კლასის მოწინავე მოსწავლე გამოეკითხათ, გვეშინოდა, ჩვენს მოულოდნელ გამოჩენას მოსწავლეები არ აეფორიაქებინა.

გივი საბაურმა ბილეთი აიღო და ომახიანი, მთის ხალხისათვის დამახასიათებელი ვაჟკაცური ხმით დაიწყო პასუხი საკითხზე: — „ვ. ი. ლენინის ბრძოლა რუსეთში მარქსისტული პარტიის შესაქმნელად 1900-1903 წლებში“.

ყვებოდა გივი... მე კი, ფიქრებით იმ „სატიალო“ დროს ვუბრუნდებოდი, მშრომელ ხალხს ასე განუკითხავად რომ ჩაგრავდნენ.

გაიგებ კი, ჩემო გივი, ამ ლაღ მხარეში, რას უნდა ნიშნავდეს ხალხის ულმობელი და სასტიკი ჩაგვრა? შენ ახლა სწავლობ და იცი, შენს სკოლას არაფერი აკლია. აი, ამ ყველაფრით უზრუნველყოფილ ისტორიის კაბინეტში ცდილობ, გვიჩვენო შენი ნიჭიერება და, აბა, გაიგებ, რამდენი ბრძოლა გადაიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1888 წელს მაშინდელ ვლადიკავკაზში ამ თქვენი ქართული სკოლის გახსნისათვის? იცი კი, რა დიდი მატერიალური გაჭირვება ადგა მაშინ სკოლას?

სკოლა კი გაიხსნა, მაგრამ სახელმწიფოს ხარჯზე კი არა! ის მხოლოდ იმ საშუალებებით არსებობდა, რომელიც საზოგადოების წევრების საწევრო ანარიცხებით გროვდებოდა. სასწავლებლის მზრუნველები მადლობას უცხადებენ მაშინდელი ვლადიკავკაზელ ღვინით მოვაჭრეებს, რომლებმაც სკოლას, თურმე 75 მანეთი შესწირეს და კიდევ ვინმე ს. ელიაძეს, 180 მანეთის ქვანახშირი რომ უჩუქებია სკოლისათვის.

თქვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები გულხელდაკრეფილნი როდი ელოდნენ აღთქმულ ქვეყანას, სანეტარო მომავალს. სკოლის გვერდით, გიორგი უთურაშვილის ბინაში მოთავსებულ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა ლენინური იდეებით გასხივოსნებული მოწოდებანი, პროკლამაციები, და სიმართლისათვის ბრძოლის მოწოდება ვრცელდებოდა ვლადიკავკაზის მშრომელებში, ამიტომ გადაასახლეს თქვენი სკოლის მასწავლებელი ელენე ბაბილოძე მეუღლესთან — იოსებ ბაბილოძესთან ერთად ციმბირში, მაგრამ ამაოდ როდი დაშვრნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები — ისინი თქვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ!

ასეთ პირობებში მუშაობდა მაშინ სკოლა და, მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურისა და განათლების ამ პატარა კერამ დიდი როლი შეასრულა რევოლუციამდელი კავკავის ტერიტორიაზე მიმოფანტული ქართველების შეკავშირების, მათში უწიგნურობა-უმეცრების ლიკვიდაციისა და ოს-ქართველთა ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება-გაღრმავების საქმეში.

ქართველი მთიელები მკაცრი ბუნებრივი პირობებისა და უგზოობის გამო ხშირად მშობლიურ მიწა-წყალს ტოვებდნენ და დარიალის ვიწროების დასასრულს, ფართოდ გადაშლილი ველების ნოყიერ ნიადაგზე, მაშინდელ კავკავის მიდამოებში სახლდებოდნენ. მაგრამ მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილნი, ოცნებობდნენ ქართულ სკოლაზე, რომ მათ შვილებს მამა-პაპათა ტკბილ-ქართული შეენახათ.

რაოდენ მგზნებარებას, გულწრფელობას, მშობლიური ხალხის სიყვარულს აქსოვდნენ თავიანთ მუშაობაში დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ყიფიანი, რომლის ინიციატივითაც ეს სკოლა დაარსდა; ქართული სკოლისა და პედაგოგიური აზრის განვითარებას მოჭირნახულე ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც 14 წლის განმავლობაში ედგა სკოლას სათავეში; თავისი ზნეობრივი სისპეტაკით სახელგანთქმული გიგო ნათაძე; სკოლის შესანიშნავი პედაგოგები ვანო გიორგობიანი, შალვა ღუდუშაური, უშანგი ობოლაძე, ნინო დოლიაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, პართენ გოთუა და მრავალი სხვა.

— ახლა ყველა ჩვენი წამოწყება მხურვალე მხარდაჭერასა და გამოხმაურებას პოულობს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ქალაქ ორჯონიკიძის პარტიული და სახალხო განათლების ყველა რგოლის ხელმძღვანელისაგან.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ძველი შვიდ-



ქართული სკოლის დირექტორი სოფიო კლიაშვილი ატარებს თათბირს



მეცადინეობა ტარდება ფიზიკის კაბინეტში.

წლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა. დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის იუბილეს დღეებში კი, 1940 წელს, სკოლას მისი სახელი მიეკუთვნა.

ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, განიერი დერეფნები, რომლებიც დამშვენებულია გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა, ამ სკოლის მოამაგეთა პორტრეტებით. აქ არავინ არ იშურებს სახსრებსა და საშუალებებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ სკოლაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

1963 წელს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მრავალეროვან დედაქალაქში სკოლის საიუბილეო ზეიმი გაიმართა, ის ჩვენი ქვეყნის ხალხთა გულითადი მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ქ. ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის 75-ე წლისთავთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდა როგორც სკოლა, ისე მისი მოწინავე პედაგოგები. ასეთები კი სკოლას მრავლად ჰყავს, მათ სახელებს მოწიწებით წარმოთქვამენ მათი აღზრდილები თუ აღსაზრდელები: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შალვა რეხვიაშვილი და ვერა ფიცხელაური, მათემატიკის მასწავლებელი ვლადიმერ ქავთარაძე, სასწავლო ნაწილის გამგე და მათემატიკის მასწავლებელი თამარ მეტრეველი, ქიმიის მასწავლებელი ეკატერინე რეხვიაშვილი. ის დიდი ხალისი და თავისი საქმისათვის თავგამოდება, რომელიც მათ ახასიათებთ, მხოლოდ სიყვარულმა და რწმენამ იცის.

ამ სიყვარულზე დიადი და საამაყო რა უნდა იყოს ქვეყანაზე!

წელს სამმა პარალელურმა მეათე კლასმა დაამთავრა ქართული სკოლა ქალაქ ორჯონიკიძეში, სკოლის მატიანის შემდეგი ფურცლები ბევრი მათგანის გვერდით შეივსება. მათი მუყაითობა, შრომითი მიღწევები იმის უტყუარი საწინდარია, რომ ფრთებს შეისხამს კეთილშობილური მისწრაფებანი, მდიდარი ფანტაზია და თავისი კაცური კაცობით არგებენ სამშობლოს, ასახელებენ მამულს.

**პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**დოცენტი ნინო ფანოზიშვილი**



# მერი ოლშანიცკაია

დიდი აუდიტორია... ბროლის ჭაღი... გრძელ, მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდას გარს უსხედან საგამოცდო კომისიის წევრები: ინსტიტუტის სამხატვრო ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ლ. ლეონოვი, ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი, მათ შორის ვ. სახნოვსკი, ი. ბერსენევი, ი. ზახავა, ა. პოპოვი, ნ. გორჩაკოვი და სხვები.

არც ისე იოლი იყო მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრა. კონკურსი დიდი იყო, მაგრამ ამაზე მეტი იყო სურვილი სწავლისა. ქალიშვილს, სწორედ აქ, საბჭოთა ხელოვნების ცენტრში უნდოდა დაუფლებოდა რეჟისურას.

— რას წაგვიკითხავთ? — შეეკითხა ლ. ლეონოვი.

—ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბას"... და გოგონას ხმა ხან ჩურჩულით ისმოდა, ხან კი მჭექარედ მოუწოდებდა თავისუფლებას.

გამოცდები რთული იყო და კარგა ხანს გაგრძელდა. მერე კი დიდი ხელოვნების საიდუმლოების ჩაწვდომის სიხარული, მოსკოვის თეატრის სპექტაკლები, საკონცერტო დარბაზები, გამოფენები, წიგნები, კვლავ წიგნები. რეჟისორმა ბევრი, ძალიან ბევრი უნდა იცოდეს. თავგამოდებული მეცადინეობის შედეგად მას სტანისლავსკის სახელობის სტიპენდია დაენიშნა.

მაგრამ... 1941 წლის ივნისი. დაიწყო შუქშენილბები, ღამით ცაში ასრიალდნენ პროჟექტორის გადაჯვარედინებული სხივები... ამ დროს ინსტიტუში საგამოცდო სესიები მთავრდებოდა.

ივლისის პირველ რიცხვებში კი ორმოცდაათი მოსკოველი კომკავშირელი სტუდენტი გოგონა შეუერთდა სხვა ინსტიტუტების სტუდენტთა რაზმს. ისინი ერთად გაემგზავრნენ სამშობლოს საზღვრების დაცვაში მონაწილეობის მისაღებად. მიმართვაში ეწერა: „ასეულის მეთაურად ინიშნება კომორგი მერი გრიგოლის ასული ოლშანიცკაია".

* * *

მთელი ქვეყანა ისმენდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რადიო-სპექტაკლს: ვ. დარასელის „კიკვიძეს", რომელიც შემდეგ საკავშირო რადიოს ოქროს ფონდში დარჩა. სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის განვითარებაში შემოქმედებითი წვლილის შეტანისათვის, 1967 წელს, დიპლომით დაჯილდოვდა რეჟისორი მ. ოლშანიცკაია. როგორ მივიდა რეჟისორი ქალი ამ გამარჯვებამდე?

ინსტიტუტის კურსის დამთავრების შემდეგ მერი უკვე თბილისშია და არჩევს გრიბოედოვის სახ. თეატრში დასადგმელ პიესას. დიდი სურვილი ჰქონდა დაედგა უსათუოდ ქართველი ავტორის გმირული რომანტიკით სავსე ნაწარმოები. არჩევანი ხვდა ვ. დარასელის „კიკვიძეს". ავტორთან ერთად შეიქმნა პიესის ახალი ვარიანტი. დადგმის ავტორმა მ. ოლშანიცკაიამ და თეატრის მთელმა კოლექტივმა შექმნეს დიდი ემოციური ძალისა და იდეური ჟღერადობის სპექტაკლი. რეჟისორის დამსახურება მდგომარეობს სახეების სწორად გახსნაში, მშვენივრად გააზრებულ მასობრივ სცენებში და მიზანსცენებში, კოლექტიური სულისკვეთებისა და ადამიანთა განცდების გადმოცემაში... „კიკვიძე" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს თეატრების მიმდინარე სეზონში, — წერდა კრიტიკოსი ბ. ჟლენტი 1954 წლის 20 მარტის გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე.

ამას მოჰყვა ბევრი სხვა სპექტაკლი გრიბოედოვისა და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებში, მათ შორის — ა. კორნეიჩუკის „მაკარ დუბრავა", ა. სოფრონოვის „ერთ ქალაქში", ვ. პანოვას „გოგონები", ს. მიხალკოვის „შინ დაბრუნება მინდა", იანოვსკის „პროკურორის ქალიშვილი", ვულუოკის „ქვის ბუდე" და სხვა.

მ. ოლშანიცკაიამ გააცოცხლა გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ოთარ ჩიჯავაძის პიესა „თხუნელა" და მიხეილ მრევლიშვილის „მგზნებარე მეოცნებეს" გმირები — (ეს უკანასკნელი რეჟისორ ე. ბრილთან ერთად), მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში კი გ. ნახუცრიშვილის „ბორის ძნელაძე" და სხვა. მერის ბავშვობიდანვე აღელვებდნენ ილია ჭავჭავაძის გმირები, და ახლა საშუალება მიეცა გრიბოედოვის თეატრში გაემართა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი დიდი საღამო-კონცერტი, სადაც, რაღა თქმა უნდა, დიდი ადგილი ეჭირა მის საყვარელ „ბაზალეთის ტბას".

ხელოვნების დარგის მუშაკს ყოველთვის აქვს თავისი განსახიერებული თუ განუსახიერებელი ჩანაფიქრები, თავისი თემა, რომელსაც იგი დროდადრო უბრუნდება ხოლმე. უბრუნდება არა უბრალო განმეორებით, არამედ, ყოველთვის ცდილობს იპოვოს უფრო მეტი სიღრმე, მოძებნოს გამომსახველობის ახალი საშუალებები.

ზოგჯერ მხატვარი უკმაყოფილოა რომელიმე თავისი ტილოთი. მწერალი — წიგნით, მაგრამ სურათი უკვე შესრულებულია და ავტორს აღარ ეკუთვნის, წიგნი დასტამბულია და უკვე მისული მკითხველთან.

ამ მხრივ რეჟისორი უფრო ბედნიერია. მას შეუძლია ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

1958 წელი. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა ქ. მოსკოვში. სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენა, სადაც ოდესღაც სტუდენტი მერი ოლშანიცკაია თეატრის რომელიღაც კუნჭულში მიმჯდარი სულგანაბული ისმენდა და აკვირდებოდა ცნობილი მსახიობების — კაჩალოვის, მოსკვინის, კნიპერ-ჩეხოვას, ტარასოვას, ხმელიოვის და სხვათა ოსტატობას. დღეს, იგივე თეატრი, მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ოლშანიცკაიასა და გრიბოედოველთა „კიკვიძის" მთელ შემსრულებელ კოლექტივს, ესოდენ ამაღელვებელი სპექტაკლის შექმნისათვის. სპექტაკლს ესწრებოდნენ ვ. კიკვიძის თანამებრძოლები, რომლებიც ცრემლს ვერ იკავებდნენ, ისინი ამ საღამოს თითქოს ხელახლა შეხვდნენ თავიანთი დივიზიის უფროსს.

მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში მონაწილეობისათვის მ. ოლშანიცკაია დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სპექტაკლი გახმაურდა. მერი იღებს წერილებს კიკვიძელთაგან, — ისინი ითხოვენ სპექტაკლის რადიოთი გადაცემას, რათა იმ სტანიცას, სადაც იბრძოდა ლეგენდარული დივიზიის უფროსი, მოესმინა ეს სპექტაკლი. კიკვიძელთა სურვილი შესრულდა და სპექტაკლი რადიოთი გადაიცა.

1967 წელს, ტელევიზიის საშუალებით, მეოთხედ დაუბრუნდა მერი კიკვიძის თემას. ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრებულმა და პროფესიულად დაოსტატებულმა რეჟისორმა სპექტაკლი ახლებურად გადაწყვიტა.

ამ დროს, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მერი ოლშანიცკაია ტელეხედვის რეჟისორია. ტელეხედვა მხატვარს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად ახლო კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან, შევიდეს მასთან ოჯახში, მსხვილი პლანით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახოს მთავარი, გახადოს მაყურებელი ახლახან მომხდარი ამბავის მოწმე, და დაუახლოოს შორეული წარსული.

ტელეხედვის ეს უპირატესობანი ემთხვევა რეჟისორ მ. ოლშანიცკაიას შემოქმედებით მისწრაფებებს და აი, უკვე ათი წელია, ცისფერ ეკრანზე ჩნდება მერის გადაცემები, ტელესპექტაკლები. აუცილებლად გეხსომებათ პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი, გიორგი მდივნის „უღელტეხილზე" — ტელესპექტაკლი კავკასიის დამცველთა შესახებ, შექმნილი ცენტრალური ტელევიზიისათვის, სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ — ვ. ანჯაფარიძე, ა. ომიაძე, ბ. ზაქარიაძე, გ. სალარაძე, გადაცემები და სპექტაკლები, რომლებმაც ფართო პატრიოტული ჟღერადობა მიიღო. ასეთებია: „თინა დონჟაშვილი — მებრძოლი მწერალი", კ. ლორთქიფანიძის „უჟანგავი ხმლის პირი" (სპექტაკლი ცენტრალური ტელევიზიისათვის). ი. ნონეშვილის „ზოია რუხაძე" და სხვა. მაგრამ, მერის ჰქონდა კიდევ სხვა, არანაკლები მნიშვნელობის გადაცემები — ეს გახლავთ გადაცემა სხვადასხვა ერის წარმომადგენელ გამოჩენილ ადამიანთა შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში — იმ მიწაწყალზე, სადაც მერი დაიბადა, სადაც მისი მამა გრიგოლი 1917 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში, სადაც კომუნისტი მერი ოლშანიცკაია ცხოვრობს და მუშაობს.

მასვე ეკუთვნის გადაცემები მ. გორკიზე, კ. მარჯანიშვილზე, ნ. ბარათაშვილზე, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვაზე, საქართველოს ჭადრაკზე, ხელმარჯვეთა ხალხურ ჭედურობაზე, ხეზე ამომკვეთლებზე, და ბოლოს ცენტრალური ტელევიზიით გადაცემული: „საბჭოთა საქართველოს 50 წელი", — რომელიც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ნახა.

საქართველოს ტელეხედვისა და რადიოს გადაცემის მთავარი რედაქციის მთავარი რეჟისორისათვის, პარტბიუროს მდივნის მოადგილისათვის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მერი — ოლშანიცკაიასათვის, საზოგადოებრივი მუშაობა ცხოვრებისეული აუცილებლობაა: იქნებოდა იგი გრიბოედოვის სახ. თეატრის პარტბიუროს მდივანი, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი თუ მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თეატრალური სექციის მდივანი, ყველგან და ყოველთვის ავლენდა დიდ ენერგიას, შრომისმოყვარეობას და პრინციპულობას.

როდესაც ვლაპარაკობთ მერი ოლშანიცკაიას შემოქმედებაზე, ვაანალიზებთ ყველაფერს, რაც კი მას შეუქმნია, ვრწმუნდებით, რომ მას, როგორც ყველა დიდ მხატვარს აქვს თავისი თემა, რომელთანაც იგი მიიყვანა კომკავშირმა, პარტიამ, ინსტიტუტმა, ოჯახმა.

ეს თემაა — ყველაფერი საქართველოს შესახებ.

**მარგარიტა გოგოლაშვილი**



# „ესტონკა"

აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში არის სოფელი „ესტონკა". ექვსას ჰექტარზეა გადაჭიმული მისი მინდვრები. აქ ცხოვრობენ ესტონელები, ქართველები, სომხები, რუსები...

მაგრამ სოფელს მაინც ესტონელების სახელი ჰქვია და აი რატომ:

1882 წელს კილკების, სუიცების, პადრებისა და პუსების ოჯახებმა ამ მიწაზე პირველად დაადგეს ფეხი. მაშინ აქ მხოლოდ ჯაგნარი ყოფილა. ახალმოსახლეებს ეკალბარდი გაუკაფიათ და სახნავ-სათესი მიწა დაუმუშავებიათ. მაგრამ არ სცოდნიათ მიწაზე რომელი კულტურა უფრო ბარაქიან მოსავალს მისცემდათ და მეზობელ სოფელში კაცი გაუგზავნიათ რჩევა-დარიგების საკითხავად. ქართველებს მეგობრული ხელი გაუწვდიათ თავიანთი მეზობლებისათვის, სათესლე სიმინდი უსესხებიათ და მისი მოყვანაც უსწავლებიათ.

ესტონელებმა ჯერ სიმინდისა და კარტოფილის მოყვანა დაიწყეს, მერე მესაქონლეობას მიჰყვეს ხელი. შიმშილობამ შედარებით იკლო, მაგრამ არ ჰყავდათ ექიმი, არ იყო გზა... ჭაობებში დაბუდებული მალარია მუსრს ავლებდა მოსულებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფელში გაკეთდა გზები, გზებს სინათლე მოჰყვა. აიგო ხიდები. დაიძრნენ ბულდოზერები, ექსკავატორები, ტრაქტორე-

სოფლის უხუცესი მარია პუხი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. პუსი

მ. პიხალსკი





ბი. დააშრეს ჭაობები და აშრიალდა ბაღები, აბიბინდა ჩაი, თამბაქო. წელში გაიმართნენ ესტონელები.

— ჩვენს სოფელში კოლექტივიზაციის პირველი მერცხალი მე ვიყავი, პირველი ჩაის თესლი მე ჩავაგდე მიწაში, — ამბობს მოწინავე მეჩაიე, ამჟამად პენსიონერი, 86 წლის მარია პუსი.

მარიას მეუღლის ალექსანდრე პუსის ბაბუა თავისი ხუთი შვილით 90 წლის წინათ ჩამოსულა აქ.

პუსების მეხუთე თაობის წარმომადგენელია ალა პუსი. იგი პირველ ბრიგადაში მოწინავე მეთამბაქოედ ითვლება და ამავე ბრიგადის წევრი ზარუიკა კაჩუმიანი შეჯიბრში ჰყავს გამოწვეული. პირველმა ბრიგადამ წელს 10.625 კილოგრამი თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს.

შრომაში ისახელეს თავი მარია პიხალსკიმ და თამარ თურქაძემ. ისინი ციტრუსების სანერგეში მუშაობენ და დღეში გათვალისწინებული 400 ძირი ციტრუსის ნაცვლად 800 ძირ ციტრუსს ამყნიან. მათ არც მეათეკლასელი იზოლდა კაკოჩაიშვილი ჩამორჩება. გაკვეთილებს დაამზადებს თუ არა, მეგობრებთან ერთად კოლმეურნეობის ბაღებს მიაშურებს, სადაც „იაპონური“ და „ჩინებული“ ჯიშის ხურმით, ატმით, ვაშლით და მსხლით ივსება კალათები.

1972 წელს განსაკუთრებით ისახელეს თავი ესტონკელებმა. ჯერ საქართველოში ჩამოსვლის 90 წლისთავი იზეიმეს და ახლა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან.

მათ მიმდინარე წელს მოიწიეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 896 ცენტნერი თამბაქო, 697 ცენტნერი ჩაის ფოთოლი. 1.000 ცენტნერი სიმინდი, 100 ცენტნერი „იაპონური“ და „ჩინებული“ ჯიშის ხურმა, 770 ცენტნერი ხილი, 70 ცენტნერი ხორცი, 5.000 ლიტრი რძე, 10 ათასი ცალი კვერცხი.

უქმად არ ჩაუვლია ესტონკელების შრომას. წინათ თუ ჯაგლაგი ცხენი და ცალი ხარი ჰქონდათ სანატრელი, ახლა „ვოლგები“ და „ჟიგულები“ დგას მათ ეზოებში. აშენდა ორსართულიანი კლუბი, კოლმეურნეობის კანტორა, 8-წლიანი რუსული სკოლა. ამ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე დამსახურებული პედაგოგი მარტა ტომბერგია. იგი თავს ევლება თავის აღსაზრდელებს, რუსულ ენასთან ერთად ესტონურსაც ასწავლის მათ. აქვეა 4-კლასიანი სომხური სკოლა. პერსპექტივაშია, სულ მალე ქართული საშუალო სკოლის აგებაც. ესტონკელები კულტურულად ცხოვრობენ, ესწრებიან კინოფილმებს, თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტებს.

ჭირსა თუ ლხინში მხარდამხარ მიჰყვებიან სოფლის მკვიდრნი ერთმანეთს. ესტონკელებს ჩვენი ქართული ტრადიცია და ხასიათი შეუსისხლხორცებიათ და ძმურად ცხოვრობენ ერთიან ოჯახში.

ოლია რევია

# ჭიათურა-ნიკოპოლი



უკრაინელები სტუმრად ჭიათურაში, ცენტრში სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი გ. სერედა

ფოტო თ. შეყილაძისა

30-იან წლებში დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა გეგმის შესრულების სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია და საფუძველი ჩაუყარა ახალ მოძრაობას, რომელიც სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას. სწორედ მაშინ ჩაისახა მეგობრობა ქართველ და უკრაინელ მეშახტეთა შორის და პირველი სტახანოველები გაჩნდნენ ქართული მარგანეცის ქალაქშიც. ესენი არიან ვასილ სამხარაძე, ტრიფონ ფოფხაძე, სერგო ოთინაშვილი, კალენიკე ღვთაძე და მრავალი სხვა.

ხოლო, როცა ჭიათურის მარგანეცის აუზში სტახანოვურმა მოძრაობამ მძლავრად მოიკიდა ფეხი, დაიბადა აზრი, წარმატებები უკრაინელი თანამოსაქმეებისათვის გაეზიარებინათ და მომავალში ამ წარმატებების განმტკიცებისათვის სოციალისტური შეჯიბრება გაეჩაღებინათ ნიკოპოლელ მაღაროელებთან.

ქართველი მაღაროელების გამოწვევა აღტაცებით მიიღეს ნიკოპოლელებმა, და თუმცა მაშინ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შემოწმებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, ეს მაინც იმ დიდი მეგობრობის სათავე იყო, რომელიც შემდგომმა წლებმა განამტკიცა, ურღვევ და ძლიერ კავშირად აქცია.

დღეს ტრადიციადაა ქცეული მეგობრების ერთმანეთთან სტუმრობა: ერთ წელს ნიკოპოლელები ჩამოდიან ქართველი მაღაროელების ქალაქში, მეორე წელს კი ქართველები არიან ნიკოპოლელთა სტუმრები. ისინი ეცნობიან ერთმანეთის მიღწევებს შრომასა და ყოფაცხოვრებაში, ამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

აი, ამ დიდი მეგობრობის რამდენიმე ეპიზოდი.

* * *

თუმც არაფერი არ იყო ამაში უჩვეულო, მოულოდნელი, მაგრამ როცა უკრაინაში. ქალაქ მარგანეცის გრუშევის მაღაროთა სამმართველოს ეზოში შევედით და ნაცნობ პორტრეტებს მოვკარით თვალი, გავოცდით.

— პეტრე, ეს შენი სურათი უნდა იყოს, — შეეხმიანა ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი ვასილ სამხარაძე სოციალისტური შრომის გმირს პეტრე გოგატიშვილს. და აქ არა მარტო პეტრე გოგატიშვილის სურათი იყო, არამედ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მოწინავე ადამიანებისაც, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი უკრაინის ქალაქ მარგანეცის გრუშევის მაღაროელებთან. ერთი მათგანი სოციალისტური შრომის გმირი ივანე მელნიკოვია. თანამოსაქმენი წინათ მიმოწერით იცნობდნენ ერთმანეთს, ახლა კი პირადად შეხვდნენ და სიყრმის მეგობრებივით გადაეხვივნენ. მერე მასპინძლებმა მაღაროს ერთ-ერთი შახტის დათვალიერება შემოგვთავაზეს, რომელიც ჭიათურის სახელს ატარებს.

ეს ყველაზე საუკეთესო შახტია, არა მარტო ჩვენს მაღაროში, არამედ ნიკოპოლის მარგანეცის აუზში, — გვიხსნის გრუშევის მაღაროს დირექტორი მ. დემჩენკო, — შახტი მთლიანად მექანიზებულია და ერთ-ერთი მოწინავეა, სწორედ ამიტომ, ჩვენი მეგობრობის უკვდავსაყოფად, მას „ჭიათურის" სახელი ვუწოდეთ. — გვეუბნება მ. დემჩენკო და შახტის გვირაბებში მივაბიჯებთ. მაგრამ ეს არ არის შახტის უბრალო დათვალიერება, მასპინძლები იმ ტექნიკურ სიახლეებს გვაცნობენ, რაც შახტში დაინერგა. სტუმრები უკრაინელთა და თავიანთ შრომის პირობებს ადარებენ. ლითონის სამაგრ კონსტრუქციებს დაკვირვებით ათვალიერებენ: გამოდგება თუ არა იგი ჭიათურის მაღაროებისათვის, შემდეგ მარგანეცის მონგრევას იწყებენ...

უკრაინაში ქართველი მაღაროელების სტუმრობის მთელი ხნის განმავლობაში საქმიანი სჯა-ბაასი იმართებოდა ქალაქ მარგანეცისა და ქალაქ ორჯონიკიძის სამთო გამამდიდრებელი კომბინატების შახტებში, კარიერებზე, კომბინატის დირექტორებისა თუ გამამდიდრებელი ფაბრიკების გამგეების კაბინეტებში, სანგრევებში, მოწინავე მაღაროელების ოჯახებში. ყველგან იგრძნობოდა, რომ მასპინძლები დაინტერესებულნი იყვნენ ეჩვენებინათ ყველაფერი, რაც კარგი ჰქონდათ:

ახლა მოწინავე უკრაინელ მაღაროელთა პორტრეტები ჭიათურის კულტურის სასახლის ფოიესაც ამშვენებს, აქვეა სტენდი, რომელიც ნიკოპოლელ მაღაროელთა შრომით საქმიანობას ასახავს.

* * *

შარშან ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროში წერილი მოვიდა უკრაინიდან. ქალაქ მარგანეცის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, სტეფანე ლევიცკის ხელმძღვანელობით, სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდა ლენინის სახელობის მაღაროს № $1^{1}$ უბნის იმ ცვლის კოლექტივს, რომელსაც ზვიად ღუღუნიშვილი ხელმძღვანელობს.

ლენინის სახელობის მაღაროში გულდასმით გაეცნენ სოციალისტური შეჯიბრების პირობებს, მიიღეს უკრაინელთა გამოწვევა, შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმეს და საპასუხო წერილთან ერთად გაგზავნეს უკრაინაში. მერე ყოველი თვის ბოლოს ამოწმებდნენ შეჯიბრებით აღებული ვალდებულების შესრულებას და სიხარულით ატყობინებდნენ ერთმანეთს წარმატებებს.

მეგობრები წელს შეხვდნენ ერთმანეთს. მეტალურგიის დღეს უკრაინელი მაღაროელები ეწვივნენ ქართველ თანამოძმეებს. სტუმრებს შორის იყო სტეფანე ლევიცკიც. მან პირველად ზვიად ღუღუნიშვილი მოინახულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დიდხანს ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ აღწევენ შრომაში წარმატებებს, სტეფანე ზვიადის ცვლის წევრებს გაეცნო, ის სანგრევი მოინახულა, სადაც ზვიადის ცვლა მუშაობს, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და გადაწყვიტეს კვლავაც გაეგრძელებინათ სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ასე დიდად უწყობს ხელს მათ წარმატებებს.

* * *

— ყველაზე მეტად რა მოგეწონათ ჩვენს ქალაქში? — ასეთი კითხვით მივმართეთ უკრაინის ქალაქ ორჯონიკიძის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს გრიგოლ სერედას, რომელიც წელს უკრაინელ მაღაროელებთან ერთად ჩვენი ქალაქის სტუმარი იყო. სერედამ ჩვენს კითხვას ასე უპასუხა:

— ნიკოპოლის ქუჩა, ერთ-ერთი ლამაზი, ახალი ქუჩა, რომელსაც რვასართულიანი სახლები ამშვენებს და ჯერ კიდევ მშენებლობაშია, თუმცა მარტო ამ მშენებლობით კი არ მომწონს, უფრო იმით, რომ მას ნიკოპოლის სახელი ჰქვია.

ხუთიოდე წლის წინ გადაწყდა, რომ ქართველი და უკრაინელი მაღაროელების მეგობრობის უკვდავსაყოფად ჭიათურის ერთ-ერთ ახალ ქუჩას „ნიკოპოლის“ სახელი მიკუთვნებოდა. პირველად ამ ქუჩაზე აშენდა რვასართულიანი საცხოვრებელი სახლები აქვე დაიწყო პირველი თოთხმეტსართულიანი სახლების მშენებლობაც.

მეგობრობას დიდი ძალა აქვს. ამ მეგობრობის შედეგია ის, რომ ჭიათურის და ნიკოპოლის მარგანეცის აუზების მაღაროელები დიდ წარმატებებს აღწევენ შრომაში. სულ ახლახან კვლავ მოვიდა წერილი უკრაინიდან. ქალაქ ორჯონიკიძის მაღაროელები იტყობინებიან, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, წარმატებით შესრულა ქალაქ ორჯონიკიძის მარგანეცის გამამდიდრებელი კომბინატის კოლექტივმა. ჭიათურელებმაც აცნობეს, რომ არც ისინი დარჩენილან ვალში. ასობით ტონა ზეგეგმითი მადანი ჭიათურიდან ყოველდღე მიდის ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ გიგანტებში.

ლეილა ბიწაძე

# ერთ სამეგობრო სუფრაზე

## სალათი „ლატვია“

ერთი ჩაის ჭიქა მოხარშული ბრინჯი თუშფალანგში გადაიტანეთ და ცივი წყალი გადაავლეთ. როცა წყლისგან დაიწრიტება, შეურიეთ თქვენს გემოზე ძალიან წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა. გაფცქვენით ორი ვაშლი, ოთხი პამიდორი, გამოაცალეთ თესლი და დაჭერით ნაჭრებად. ორი საშუალო ზომის კიტრი გათალეთ და დაჭერით ნამჯისებურად.

სასალათეში გროვად მოათავსეთ მწვანილიანი ბრინჯი, შემოუწყვეთ დაჭრილი პამიდორი, ვაშლი, კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ მოასხით ოთხი სუფრის კოვზი არაჟანი.

## სოკოთი დატენილი კვერცხი ბელორუსულად

მაგრად მოხარშულ ოთხ კვერცხს მოაცილეთ ნაჭუჭი. მოაჭერით ბლაგვი მხარე და ამოაცალეთ გული. წვრილად დაჭრილ ერთ პატარა თავ ხახვს მოაყარეთ გემოვნებით მარილი და კარაქში მოხრაკეთ. თეთრი სოკოს ქუდი (ორი ცალი) მოხარშეთ, დაკეპეთ, კარაქში მოშუშეთ და შეურიეთ მოხრაკულ ხახვსა და საცერში გატარებულ კვერცხის გულს. მიღებული მასალით ამოავსეთ გამზადებული კვერცხები. დააწყვეთ ლანგარზე, დაასხით სამი ჩაის კოვზი მაიონეზი და ორი ჩაის კოვზი არაჟანი. მორთეთ ოხრახუშითა და კამით.

## უკრაინული „კრუჩენიკი“

500 გრ ძროხის ხორცი თხლად დაჭერით, დაბეგვეთ და მოაყარეთ მარილი და პილპილი. 500 გრ ახალი კომბოსტო დაკეპეთ და, ერბოში მოშუშეთ. თითოეულ დაბეგვილ ხორცის ნაჭერზე მოათავსეთ ცოტა მოშუშული კომბოსტო. შეახვიეთ, ამოავლეთ პურის ფქვილში და შეწვით. შემწვარი კრუჩენიკი მოათავსეთ ქვაბში და თითოეულს ზემოდან დაადეთ დაბეგვილი სუთის (ღორის ქონი) თხელი ნაჭერი (სულ 30 გრ). დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა ხორცის ბულიონი და შუშეთ შემზადებამდე. სუფრაზე მიიტანეთ საწებლით, რომელშიაც იშუშა.

## აზერბაიჯანული „ფითი“

600 გრ მსუქანი ცხვრის ხორცი დაჭერით პატარა ნაჭრებად, გადაავლეთ მდუღარე წყალი, მოათავსეთ თიხის ქოთანში, დაასხით რვა-ცხრა ჩაის ჭიქა წყალი და დადგით მოსახარშად. ჩაუმატეთ წინასწარ დამბალი 150 გრ მუხუდო და წვრილად დაჭრილი 200 გრ ხახვი. ხარშეთ ნელ ცეცხლზე. ხარშვის დასრულებამდე შეაზავეთ თქვენს გემოზე მარილით, პილპილით, დაჭრილი მწვანილით (კამა, ოხრახუში, ქინძი, პიტნა). მზა კერძი სუფრაზე ქოთნით მიიტანეთ.

## თევზის რძა ლიტვურად

უკანო და უფხო 500 გრ ფილე ფარგასი და 500 გრამი პალტუსისა დაჭერით ნაჭრებად და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებულ მასას შეურიეთ რძეში (უკეთესია —

გარეკანის პირველ გვერდზე — ვ. ი. ლენინი; მეოთხე გვერდზე — მხატვარ ე. ვერტოგრადოვის პლაკატი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. ხირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 20/X-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 123 260. შეკვ. 3472 უე 02048 ფასი 30 კაპ.

ნაღებში დამბალი პურის გული (120 გრამი პური და 120 გრამი ნაღები) და ხელმეორედ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ჩაუმატეთ ორი კვერცხი, თქვენს გემოზე — პილპილი, მარილი და კარგად აზილეთ.

ცალკე მოამზადეთ სატენი: ერთი მოზრდილი თავი ხახვი და ერთი ნიახურის ძირხვენა წვრილად დაჭერით და მოშუშეთ 50 გრ კარაქში. ჩაუმატეთ 50 გრ დანაყილი ორცხობილა, წვრილად დაჭრილი მაგრად მოხარშული ერთი კვერცხი, გემოვნებით — პილპილი, მარილი და კარგად აურიეთ.

მიღებული თევზის მასისგან გააკეთეთ კვერები. თითოეული კვერის ცენტრში მოათავსეთ გამზადებული სატენი, შეახვიეთ, მიეცით რქის მოყვანილობა. ამოავლეთ ათქვეფილ კვერცხში, შემდეგ — დანაყილ ორცხობილაში. შეწვით ღორის ქონში. სუფრაზე მიიტანეთ შემწვარი კარტოფილითა და მჟავე კიტრით.

## იხვის ყაურმა მოლდავურად

გარეცხილი, ნაჭრებად აჭრილი საშუალო ზომის იხვი თავისავე ქონში შეწვით, მოათავსეთ ღრმა ტაფაში, დაასხით იმდენი წყალი, რომ მხოლოდ დაფაროს და თხუთმეტი-ოცი წუთი შუშეთ. ერთი-ორი თავი ხახვი წვრილად დაჭერით და იმავე ქონში მოხრაკეთ, რომელშიც იხვი იწვებოდა. ჩაუმატეთ ორი სუფრის კოვზი ტომატი-პიურე, ცოტა რომ მოიშუშება — ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი. შემდეგ შეურიეთ იხვის შეწვის დროს წარმოქმნილი წვენი, თქვენი გემოვნებით — დანაყილი წიწაკა, პილპილი, დაფნის ფოთოლი, მარილი. ეს საწებელი დაასხით იხვს და ხარშეთ, სანამ გამზადდება. სუფრაზე მიტანის წინ უყავით გაქნილი ნიორი.

## სომხური „არისა"

გასუფთავებული, გარეცხილი ერთი საშუალო ზომის დედალი მოხარშეთ, გამოაცალეთ ძვლები და ნაჭრებად დაჭერით. მდუღარე ბულიონში ჩაყარეთ წინასწარ დამბალი 300 გრ ხორბალი, დაჭრილი ქათმის ხორცი და განაგრძეთ ხარშვა ნელ ცეცხლზე. როცა ფაფა შესქელდება, დროდადრო ათქვიფეთ და ხარშეთ, სანამ წებვადი, ერთგვარი მასის შეხედულებას არ მიიღებს. ამის შემდეგ უყავით მარილი და კარგად აურიეთ. მზა კერძი მოათავსეთ ლანგარზე. ცალკე მიიტანეთ წვრილად დაჭრილი და 100 გრ ერბოში მოხრაკული 200 გრ ხახვი.

## დუმიანი ღვიძლი ყაზახურად

150 გრ ცხვრის დუმა გარეცხეთ, დაჭერით დიდ ნაჭრებად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი, სწრაფად წამოადუღეთ და შემდეგ ნელი დუღილით ხარშეთ თხუთმეტი წუთი. ჩაუმატეთ გასუფთავებული, გარეცხილი 400 გრ ღვიძლი, მარილი, პილპილი და ხარშეთ შემზადებამდე. მზა ღვიძლი და დუმა ამოიღეთ ქვაბიდან, გააციეთ და თხლად დაჭერით. თითოეული ღვიძლის ნაჭერზე მოათავსეთ დუმის ნაჭერი. გარნირად მოუწყვეთ პამიდორი, კიტრი, მწვანე ბარდა და ხაჭვი. მზა კერძს ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

## უზბეკური „მანტი"

500 გრ ცხვრის რბილი ხორცი და ამდენივე ხახვი ძალიან წვრილად დაკეპეთ და შეაზავეთ თქვენს გემოზე პილპილითა და მარილით. მოზილეთ მაგარი ცომი. ცომისაგან გააკეთეთ ძალიან თხელი კვერები, თითოეული კვერის შუაში მოათავსეთ წინასწარ გამზადებული სატენი. ამას ზემოდან დაადეთ ცხვრის ქონის ნაჭერი, აშოუკეცეთ გვერდები ისე, რომ მრგვალი მოყვანილობა მიიღოს, მოხარშეთ ორთქლზე მჭიდროდ ხუფდახურულ ქვაბში. მანტის ხარშვა გრძელდება 45 წუთს. სუფრაზე მიტანისას მოასხით ხორცის ბულიონი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი. ცალკე ჭურჭლით მიიტანეთ არაჟანი ან მაწონი.

## შემწვარი ცხვრის ხორცი ყირგიზულად

500 გრ ცხვრის ხორცის რბილი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად. 400 გრ გასუფთავებული, გარეცხილი ღვიძლი დაჭერით. ნაჭრებად დაჭრილ ცხვრის ხორცსა და ღვიძლს მოაყარეთ მარილი, პილპილი, აურიეთ. დაუმატეთ დაკეპილი 150 გრ ხახვი და ცოტა შეწვით. ჩაუმატეთ კუბურად დაჭრილი 200 გრ სტაფილო, გემოვნების მიხედვით — მწვანილი, მოშუშული 70 გრ ტომატი-პიურე, აურიეთ, დაუმატეთ 50-100 გრ ცხიმი და შუშეთ, სანამ გამზადდება.

მოამზადეთ ცომი ისე, როგორც ატრიისთვის, დაჭერით ოთხკუთხედებად (4X4 სმ) და მოხარშეთ ბულიონში ან მარილწყალში. სუფრაზე მიტანისას ლანგარზე ჯერ მოხარშული ცომის ნაჭრები დააწყვეთ, შემდეგ მზა მოშუშული ხორცი თავის წვენიანად. ბოლოს კი მოაყარეთ დაკეპილი მწვანილი.

## რუსული „ჟარკოე"

გარეცხილი, გასუფთავებული კილონახევარი კარტოფილი ოთხკუთხედებად დაჭერით და კარაქში ისე შეწვით, რომ მთლად მზად არ იყოს. ორი თავი ხახვი ალყა-ალყა დაჭერით და მოხრაკეთ კარაქში, სანამ ოქროსფერს მიიღებს. 700 გრ ძროხის ხორცი დაჭერით საშუალო სიდიდის ნაჭრებად და ორივე მხრიდან კარაქში შეწვით. თიხის ქოთანში ან ქვაბში მოათავსეთ ხორცი, შემდეგ—კარტოფილი, ხახვი, მოაყარეთ თქვენს გემოზე პილპილი, მარილი, ჩაუმატეთ დაფნის ფოთოლი, დაასხით ხორცის ბულიონი ($^3/_4$ ჩაის ჭიქა). ჭურჭელი მოათავსეთ ფურნაკში და შუშეთ 30 წუთს. ათი წუთით ადრე, სანამ გამზადდებოდეს, ჩაუმატეთ 100 გრ ღვინო. სუფრაზე მიტანისას მზა კერძს მოასხით ერთი ჩაის ჭიქა არაჟანი და მოაყარეთ თქვენს გემოზე წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა.

## ქართული „საცივი"

გასუფთავებულ, გარეცხილ ინდაურს დაასხით ათი ჩაის ჭიქა წყალი და ნახევრამდე მოხარშეთ. მერე წვენიდან ამოიღეთ, მარილი მოაყარეთ, ტაფაზე დადეთ, მოასხით ცოტაოდენი ბულიონი და ღუმელში შედგით შესაწვავად. ხანგამოშვებით შეაბრუნეთ და მოასხით ტაფაზე წარმოქმნილი წვენი.

ბულიონს ცხიმი მოხადეთ და სუფთა ქვაბში ჩაასხით, დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ან ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 400-500 გრ ხახვი და მოხრაკეთ.

400-500 გრ ნიგოზი, ერთი-ორი კბილი ნიორი, ოთხი-ხუთი ღერი ქინძი, გემოვნებით — წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ. ეს ყველაფერი ექვს-შვიდ ჩაის ჭიქა ბულიონში გახსენით. დაასხით მოხრაკულ ხახვს და ხარშეთ 15-20 წუთს. შემდეგ დაუმატეთ $^1/_4$ ჩაის კოვზი დაფქვილი მიხაკი. $^1/_2$ ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი. ერთი ჩაის კოვზი დანაყილი იმერული ზაფრანა, $^1/_4$ ჩაის კოვზი დაფქული პილპილი, გემოვნებით — ღვინის ძმარი და ხარშეთ ათ წუთს. თუ გსურთ, ხარშვისას დაფნის ფოთოლიც ჩაუმატეთ.

შემწვარი ინდაური ნაჭრებად აჭერით, შესაფერ ჭურჭელში ჩააწყვეთ, ზედ ცხელი საცივი დაასხით, შეაგრილეთ და სუფრაზე მიიტანეთ ღომთან ან მჭადთან ერთად.

## თურქმენული „გატლაკლი"

მოზილეთ მაგარი ცომი როგორც ატრიისთვის, გააბრტყელეთ კვერის ფორმის 18 სმ დიამეტრით, წაუსვით კარაქი (ნაპირებს არ წაუსვათ). მერე ორივე ბოლოდან გადაგრიხეთ ისე, რომ კვერის ფორმა მიიღოს. შემდეგ ეს კვერი გააბრტყელეთ 1,5 სმ სისქეზე, და დაჭერით ჩაის ლამბაქის ნაჭრებად. შეწვით მდუღარე ზეთში.

## ტაჯიკური ფლავი

გადარჩეული, გარეცხილი 500 გრ ბრინჯი მარილწყალში დაალბეთ.

დაკეპილ 200 გრ ხახვს შეურიეთ ნამჯისებურად დაჭრილი 100 გრ სტაფილო. დაუმატეთ 500 გრ დაჭრილი ცხვრის ხორცი, დაასხით ცოტა წყალი და ხარშეთ 30-40 წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ ნამჯისებურად დაჭრილი 100 გრ სტაფილო, 100 გრ ქიშმიში, 25 გრ კოწახური, გემოვნებით — ანისული, პილპილი, მარილი და წინასწარ დამბალი ბრინჯი. რომ წამოდუღდება ჭურჭელს ხუფი დაახურეთ და ნელ ცეცხლზე ხარშეთ.

ათი წუთით ადრე, სანამ ფლავი გამზადდება, ფლავი რამდენიმე ადგილას ჩაღრმავეთ და ჩაასხით შიგ 20 გრ ცხელი ერბო.

## კოქტეილი „ესტონეთი"

500 გრ სადესერტო თეთრი ღვინო ჩაასხით მომინანქრებულ ქვაბში, ჩაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, 0,2 გრ მიხაკი, 0,15 გრ ზაფრანა, 0,2 გრ ჯავზი და ხარშეთ ნ[illegible]ცხლზე ხუთი წუთი. შ[illegible]
დეგ კოქტ[illegible]
ვარში, [illegible]
ქაში [illegible]

6 46/204

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი --- ლ
ლებების ---99-50-39. მხატვრ
წერილია დასაბეჭდად 22/XI-72
ტ